პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 10 კაპ.

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო
ტელეფონები: №№ რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—28—17, ხამდივნოს—10—58, მთ. კანტორის—8—81.

კვირა
8
ივლისი
1934 წ.
№ 156 (4012)

დღეს ნომერში

— საკ. კ.პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის გაერთიანებული პლენუმის რეზოლუცია ამხ. კაგანოვიჩის მოხსენების გამო.
— გერმანიის კომპარტიის მიმართვა მშრომელებისადმი.
— დაძაბული მდგომარეობა გერმანიაში.
— ბარიკადული ბრძოლები ამსტერდამის ქუჩებში.
— „პრავდის“ კომენტარიები ამსტერდამის ამბების შესახებ.
— ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი ფრონტი საარის ოლქში.
— მარგანეცის სასაქონლო პროდუქციის გამომუშავების გეგმა 5 ივლისს შესრულებული იყო 75,8 პროცენტით.

ფართო გზა კოლმეურნეთა ინიციატივას

კამენი-ბროდის სამ.-სატრ. სადგურის კოლმეურნეთა მიერ ამხ. სტალინისათვის გაგზავნილი წერილი, რომელიც „პრავდის“ 5 ივლისის ნომერში დაიბეჭდა უწინარეს ყოვლისა, შესანიშნავია იმით, რომ იგი იძლევა კოლმეურნეთა მასების სამეურნეო ინიციატივის მაგალითს.

პარტიის მე-17 ყრილობაზე ამხ. სტალინი ლაპარაკობდა ზავოლჟიეს ველების მორწყვაზე, როგორც გადაუდებელ ამოცანაზე. ეს დიდი საქმეა, რომელიც დიდ ხარჯებს მოითხოვს. საჭირო გახდება ვოლგის მუდმივი დინების შეჩერება რამდენიმე გიგანტური საგუბარით. მაგრამ კოლმეურნეები, რომლებიც არ უცდიან ვოლგონშენის მშენებლობის დამთავრებას, საკუთარი ინიციატივით შეუდგენ მინდვრების მორწყვას. მათ უკვე ბევრი რამ გააკეთეს. მარტო კამენი ბროდის სამ.-სატრ. სადგურის რაიონში მიმდინარე წელს აგებულია 14 დიდი და საშუალო და 23 პატარა საგუბარი. ირწყვება 1.200 ჰექტარი ნათესი. „ჩვენ გამოვიანგარიშეთ, — წერენ კოლმეურნეები, — რომ 1935 წელს შეიძლება სარწყავი ფართობის აყვანა 4—5 ათას ჰექტარამდე. შეიძლება 3—4 წელიწადში ავაგოთ სარწყავი სისტემა 25—30 ათასი ჰექტარის მოსარწყავად“. და ყოველივე ეს კოლმეურნეთა ძალებით.

კამერი ბროდის სამ.-სატრ. სადგურის კოლმეურნეები გამონაკლისს როდი შეადგენენ.

სარატოვის მხარის პიტერის სამ.-სატრ. სადგურში მიმდინარე წელს მორწყულია დაახლოებით 2.000 ჰექტარი. მორწყვა ხდება ბეზენჩუკის სამ.-სატრ. სადგურშიც და ჩრდილოეთ-კავკასიის მხარის სხვა მრავალ კოლმეურნეობაშიც და სხვ. მომაგრებული, მტკიცედ ფეხზე დამდგარი კოლმეურნეები მიისწრაფვიან მოსავლიანობის გადიდებისაკენ, აგროტექნიკისაკენ, კულტურული მიწათმოქმედებისაკენ. განა კამენი ბროდის სამ.-სატრ. სადგურის კოლმეურნეთა წერილი არ წარმოადგენს ამის აშკარა დამამტკიცებელ საბუთს?

„ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, — წერენ ისინი—გამოვიყენოთ მშრალი მიწათმოქმედების აგროტექნიკის ყველაზე უკეთესი ხერხები. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. საჭიროა მორწყვაც“. უდაოა, რომ მორწყვა წარმოადგენს მაღალი მოსავლიანობისათვის საერთო ბრძოლის მხოლოდ ნაწილს, მაგრამ აუცილებელ ნაწილს.

მასები იწყებენ საარტელო შრომის უპირატესობის შეგნებას საქმით. წვრილგლეხურ მეურნეობათა დაქსაქსული ძალებით წარმოუდგენელი იყო არა მარტო მორწყვის ამოცანის გადაჭრა, არამედ მისი უბრალოდ დაყენებაც კი. ასეული წლების განმავლობაში წვავდა ულმობელი მზე ზავოლჟიეს მინდვრების აბიბინებულ ჯეჯილს. გამანადგურებელი გვალვა იპარავდა გლეხის შრომას. იქვე კი მოჩუხჩუხებდენ მრავალრიცხოვანი პატარა მდინარეები, რომლებიც წყალდიდობის დროს უსარგებლოდ უმატებდენ ვოლგას რამდენიმე მილიონ კუბიკურ მეტრ ძვირფას წყალს. გლეხს კი არაფრის გაკეთება არ შეეძლო. კულაკური მეურნეობებიც კი ვერ სცილდებოდენ 5—10 სარწყავ ჰექტარს. ხოლო მარტო ერთი სამ.-სატრ. სადგურის კოლმეურნეებმა ერთი წლის განმავლობაში შეძლეს 1200 ჰექტარის მორწყვა. და ეს მხოლოდ დასაწყისია.

როცა ვოლგომშენის საგუბრები დამთავრდება, მილიონობით ჰექტარები მიიღებენ წყალს და მოგვცემენ მტკიცე მოსავალს, რაც წინათ უმაგალითო იყო ამ მხარეებში. ზავოლჟიეს ველები გადაიქცევიან საბჭოთა კავშირის ყველაზე ნაყოფიერ მინდვრებად. მაგრამ უკვე დღესაც შეიძლება გაკეთდეს და ბევრიც უნდა გავაკეთოთ გვალვასთან ბრძოლის საქმეში. რატომ უნდა დავკმაყოფილდეთ 5 ცენტნერს, თუ კი შესაძლებელია მივიღოთ 25 ცენტნერი ჰექტარიდან? თუ კუსტარული წესით არ შეიძლება გვალვიანი რაიონების ყველა მინდვრის მორწყვა, რატომ არ უნდა გავიჩინოთ ასეთი რაიონების თვითეულ კოლმეურნეობაში სარწყავი ნაკვეთი თუნდაც 50—100 ჰექტარის ოდენობით და ამით უზრუნველვყოთ საკუთარი თავი მოსავლით ყოველგვარი კლიმატურ პირობების დროს? კოლმეურნეთა მასობრივმა გამოცდილებამ და ინიციატივამ უკვე ცხადჰყო, რომ ეს სავსებით განსახორციელებელია. ამასთან ეს მარტო ზავოლჟიეს როდი ეხება. ჩვენში ბევრია ისეთი რაიონები, რომლებსაც ამა თუ იმ ოდენობით აზიანებს გვალვა. ავიღოთ იგივე ჩრდილოეთ-კავკასია, კერძოდ, რაიონების სტავროპოლის ჯგუფი ან დნეპროპეტროვსკის და ოდესის ოლქების სამხრეთი ნაწილი. მიმდინარე წლის გაზაფხულმა დაგვანახვა, თუ რამდენად მწვავედ დგას აქ მორწყვის საკითხი. აპრილმა, როცა წვიმა სრულიად არ მოსულა, მაისის 20-მა გვალიანმა დღემ პირდაპირი საფრთხე შეუქმნეს მოსავალს. შემდეგ მოსულმა წვიმებმა თავიდან აგვაცილეს ეს საფრთხე, მაგრამ გვალვას მაინც არ ჩაუვლია უშედეგოდ.

ზოგი ჭირი მარგებელიაო. მიმდინარე წლის გაზაფხული გადაიქცა უდიდეს აგიტატორად აგროტექნიკისა და ნათესების ხელოვნურად მორწყვისათვის. საკოლმეურნეო სოფელი როდი იჯდა გულზე ხელდაკრეფილი. ადამიანებმა ხელი მოჰკიდეს კასრებს, ვედროებს და ხელით მორწყეს რამდენიმე ასეული ჰექტარი. ალაგ-ალაგ, მაგალითად, ყაბარდო ბალკარიის ოლქში მორწყვა საყოველთაო სახალხო საქმედ გადაიქცა. როგორია შედეგი? მიუხედავად იმისა, რომ მორწყვა ტარდებოდა პრიმიტიულად, ასე ვთქვათ, სახანძრო წესით, ამ მუშაობამ სავსებით გაამართლა თავისი თავი. თითქმის იქაც კი, სადაც შემდეგ მოსულმა წვიმებმა სრულიად აღმოფხვრეს გვალვიანი გაზაფხულის გავლენა, მორწყული ნაკვეთები უფრო მაღალ მოსავალს იძლევიან. ეს გასაგებიცაა. მათ ხომ წყალი ადრევე მიიღეს. ყაბარდო - ბალკარიის ოლქში, მაგალითად, სიმინდის მოსავალი მორწყული ნაკვეთიდან ორ-სამჯერ უფრო მეტი იქნება, ვიდრე ურწყავი ნაკვეთიდან.

რა თქმა უნდა, არ შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს კასრით და ვედროთი მორწყვის მეთოდები. მათ არავინ გვირჩევს როგორც სანიმუშო მეთოდებს. მიმდინარე წლის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ გვალვიანი ან ნახევრად გვალვიანი რაიონების კოლმეურნეობებს სავსებით შეუძლიათ ნათესების განსაზღვრული უბანი მორწყან ნორმალური მეთოდებით, წყლის მექანიკური მიწოდებით. ნამდვილად რომ ითქვას, რა არის ყველაზე მთავარი მორწყვის მეურნეობის ორგანიზაციისათვის?

პირველი — ეს არის წყლის წყაროს არსებობა მეორე—ეს არის მექანიკური ძრავი. წყალზე ლაპარაკი ზედმეტია, იქ სადაც მოიპოვება პატარა მდინარე, ტბა ან გუბე. თუ როგორ უნდა შევინარჩუნოთ წყალი მორწყვისათვის, ამას დაწვრილებით და, რაც მთავარია, საქმიანად მოგვითხრობენ კოლმეურნენი ამხანაგ სტალინისადმი მიმართულ წერილში. შეიძლება მხოლოდ ვურჩიოთ მათი გამოცდილების გამოყენება ყველა კოლმეურნეობას და რაიონს.

რაც შეეხება მეორე პირობას—ძრავს, ეს პირობაც არ წარმოადგენს გადაულახავ სიძნელეს. მექანიკური ძრავი ახლა სოფლად უცხო ხილი არ არის. მორწყვისათვის სავსებით შეიძლება გამოვიყენოთ დაწუნებული, მთლიანად ამორტიზებული ტრაქტორები. მთელ საბჭოთა კავშირში ახალი ტრაქტორების რაოდენობა ფრიად საგრძნობია. ტრაქტორს, რომელიც უკვე უვარგისია, როგორც გამწევი ძალა, სავსებით შეუძლია იმუშაოს სტაციონარზე, თუნდაც ნახევარი სიმძლავრით, ვინაიდან ტრაქტორი სტაციონალურ სამუშაოზე ჩვეულებრივ ორჯერ მეტ სიმძლავრეს ავითარებს, ვიდრე როგორც გამწევი ძალა, ამიტომ გაცვეთილი ტრაქტორიც კი მორწყვისათვის სრულ ღირებულებიანია.

შეიძლება მოვიყვანოთ საკმაოდ ბევრი მაგალითი, როცა მორწყვაზე მუშაობდენ ტრაქტორები, რომელნიც „დაბადიდან“, სულ მცირე, ხუთმეტიოდე წელს ითვლიან.

მწვავედ დგას ასეთი ტრაქტორების საწვავი მასალით მომარაგების საკითხი. ამიტომ კამენი ბროდის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის კოლმეურნეები სამართლიანად მოითხოვენ ლოკომობილების გამოშვების გადიდებას, რომელთა გათბობაც შეიძლება ჩალით, ფიჩხით და წივითაც კი. მაგრამ მორწყვაზე მომუშავე ტრაქტორებისთვისაც საწვავი მასალის საკითხის გადაწყვეტა არც ისე შეუძლებელია აი, მაგალითად, პიტერის სამანქანო - სატრაქტორო სადგურის ტრაქტორისტები ამ ცოტა ხნის წინათ „პრავდაში“ წერდენ, რომ მათ თესვის განმავლობაში, ე. ი. ტრაქტორების მუშაობის მხოლოდ ერთი თვის მანძილზე, მოიზოგეს 116 ცენტნერი საწვავი მასალა. ასეთი სამანქანო - სატრაქტორო სადგურები ჩვენში ცოტა როდია. სავსებით მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ ამ ეკონომიის ნაწილი გაიცეს მორწყვაზე ძველი ტრაქტორების სამუშაოდ, სწორედ ნაწილი, რადგან მთელი დაზოგვილი საწვავი მასალა საჭირო არ იქნება. აი კიდევ ერთი სტიმული საწვავი მასალის მომჭირნეობით ხარჯვისათვის და საწვავი მასალის განსაზღვრული წყარო მორწყვისათვის.

შესაძლებლობანი მორწყვის მოსაწყობად საკმაოზე მეტიცაა მათ ვერ ამოსწურავ რა თქმა უნდა, საჭიროა სამხარეო და ცენტრალური დაწესებულებების სათანადო დახმარება. მორწყვის საქმე უნდა შევიდეს წყლის სასოფლო - სამეურნეო სამუშაოთა გეგმებში, საკოლმეურნეო მშენებლობის გეგმაში. აი, მაგალითად, კამენი ბროდის სამანქანო - სატრაქტორო სადგურის კოლმეურნეები წერენ, რომ საჭიროა ხის მილები. ეს უბრალო საქმეა. ასეთი მილების გაკეთება ადვილად შეუძლია ყოველ კოლმეურნე—ხუროს. მაგრამ კურდღლისაგან რომ რაგუ დაამზადო, ამისათვის, ყოველ შემთხვევაში, საჭიროა კურდღელი, მილები რომ დაამზადო, საჭიროა ხეტყე. ხოლო სწორედ იმ რაიონებში, სადაც მორწყვა აუცილებელია, ხეტყე არ არის—ეს ველიანი რაიონებია. მაშასადამე, კოლმეურნეობებს უნდა მივაწოდოთ ხეტყე. იგი ცოტაა საჭირო, მაგრამ მაინც საჭიროა

მეორე უმნიშვნელოვანესი საკითხი — სპეციალისტების საკითხია. კოლმეურნეობანი მრავლად გამოყოფენ მორწყვის თავის „სპეციალისტებს“ და ენთუზიასტებს. მაგრამ მათ უნდა შევასწავლოთ, რომ მართებულად შეძლონ გაუძღვენ მორწყვის მეურნეობას. გარდა ამისა, საგუბრების მშენებლობისათვის, მოსამზადებელი სამუშაოებისათვის საჭიროა ტექნიკოსები. ეს საქმე ერთბაშად უნდა დავაყენოთ ტექნიკურ რელსებზე და არ დავიწყოთ დიდი ხნიდან აღმოჩენილი ამერიკების აღმოჩენა. მოკლედ: კოლმეურნეობებს ესაჭიროებათ სპეციალისტების დახმარება.

კოლმეურნეთა მასების უდიდესი ინიციატივა ქვემოდან — პლუს ქალაქის დახმარება. აი ის ძალა, რომელიც ყველა დაბრკოლებას გადალახავს. ჩვენ ვიბრძვით სოციალისტური მინდვრების უხვი მოსავლისათვის. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ მოსავლის რაოდენობა, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია მუშაობის ხარისხზე, აგროტექნიკის მასობრივად გამოყენებაზე და ამავე დროს ხელი უნდა მოვკიდოთ მინდვრების მორწყვას იმ რაიონებში, რომლებიც პერიოდულად განიცდიან გვალვის გავლენას.

(7 ივლისის „პრავდას“ მოწინავე).

საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის გაერთიანებული პლენუმის რეზოლუცია საოლქო და საქალაქო პარტორგანიზაციების აქტივთან ერთად. მიღებული ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩის მოხსენების გამო საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის შედეგებზე

მოისმინა რა ამხ. კაგანოვიჩის მოხსენება ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგებზე, მოსკოვის კომიტეტის და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის გაერთიანებული პლენუმი აქტივთან ერთად სავსებით და მთლიანად იწონებს ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს და ღებულობს მათ განუხრელად შესრულებისთვის.

მოსკოვის ოლქის ბოლშევიკები ყოველივე ღონეს იხმარენ იმისათვის, რომ ზუსტად და დანიშნულ ვადაზე შეასრულონ მარცვლეულის, ხორცის და კარტოფილის ჩაბარების გეგმა, ძირშივე აღკვეთონ ანტისახელმწიფოებრივი ტენდენციების ოდნავი გამოხატულებაც კი და მთელს პარტიასთან ერთად, მე-17 ყრილობის დირექტივების შესრულებით, განახორციელებენ მეცხოველეობის განვითარების საბრძოლო პროგრამას, რომელიც მიღებულია ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ.

პლენუმი ამტკიცებს მოსკოვის კომიტეტის ბიუროს ოპერატიულ წინადადებებს მოსკოვის ოლქის პირობებში ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დირექტივათა განხორციელების შესახებ.

პლენუმი ღრმად არის დარწმუნებული, რომ ლენინური ცენტრალური კომიტეტის და პარტიის დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით, თვითეული კოლმეურნეობის და თვითეული სასოფლო საბჭოს განმტკიცებაზე დაულალავად მუშაობით, პარტია მიაღწევს სოციალისტური მიწათმოქმედების შემდგომ აყვავებას, მეცხოველეობის პრობლემის გადაჭრას და ყველა კოლმეურნეობის და კოლმეურნეთა შეძლებულობას (ადს).

გერმანიის კომპარტიის მიმართვა მშრომელებისადმი

პარიზი, 5 ივლისი. „ლუმანიტეს“ გადმოცემით, კომპარტიამ გამოაქვეყნა მიმართვა მშრომელებისადმი, რომელშიაც მოუწოდებს მათ გააძლიერონ ბრძოლა ფაშისტურ რეჟიმის წინააღმდეგ. მიმართვაში ხაზგასმულია, რომ ფაშისტური რეჟიმის ხელმძღვანელები გერმანიაში უკანასკნელად მომხდარ ამბებში მოქმედებდენ ფინანსიური კაპიტალის მაგნატთა პირდაპირი ბრძანებით, რომლებიც შეშინებული არიან მშრომელი მასების მზარდი უკმაყოფილებით. კომპარტია მოუწოდებს მშრომელებს —ნაციონალ - სოციალისტური პარტიის წევრებს იბრძოლონ კომუნისტებთან ერთად ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ. ამავე დროს კომპარტია მოუწოდებს სოციალ-დემოკრატ მუშებს შექმნან ერთიანი ფრონტი რევოლუციურ მუშებთან და მოაწყონ ქარხნებში და მუშათა კვარტალებში ბრძოლის გაერთიანებული კომიტეტები. დასასრულ კომპარტია მოუწოდებს გააძლიერონ ბრძოლა ტელმანის და ყველა დაპატიმრებულ ანტიფაშისტის განთავისუფლებისათვის (ადს).

ბარიკადები ამსტერდამის ქუჩებში

ამსტერდამი, 5 ივლისი. გუშინ საღამოს უმუშევრებმა მუშათა რაიონში მოაწყეს საპროტესტო მიტინგი უმუშევართათვის დახმარების ახალი კანონის წინააღმდეგ, რომელიც საგრძნობლად ამცირებს დახმარებას. მიტინგის შემდეგ დაიწყო შეტაკება პოლიციასთან, რომელიც გარს შემოერტყა შენობას, სადაც მიტინგი მიმდინარეობდა. ორ ქუჩაში უმუშევრებმა ბარიკადები აღმართეს. პოლიციელი რევოლვერებით და ხმლებით ეცენ ბარიკადებს. ყველგან გაისმოდა რევოლვერის სროლა. რაიონის მცხოვრებნი სროლაზე უპასუხებდენ ქვების და ბოთლების დაშენით. სროლა ნაშუაღამევამდე გაგრძელდა. მეორე მუშათა რაიონში შეტაკების საბაბი გახდა მუსორტის ნაციონალ - სოციალისტური პარტიის კრება. პოლიციამ გარეკა მრავალი ათასი კაცისაგან შემდგარი ანტიფაშისტური დემონსტრაცია, რომელშიც ბევრი უმუშევარი მონაწილეობდა. პოლიციასთან შეტაკების დროს რამოდენიმე მუშა დაჭრილ იქნა რევოლვერის ტყვიით და ხმლით. მათგან სამი მძიმედაა დაჭრილი (ადს).

„პრავდის“ კომენტარიები ამსტერდამის ამბების შესახებ

შვეიცარიისა და დანიის შემდეგ, სადაც ამას წინათ მოხდა გაფართოებული შეტაკებები მუშებს და პოლიციას შორის, რამაც ბარიკადული ბრძოლების ხასიათი მიიღო, ასეთივე ამბები ხდება ბურჟუაზიული „დემოკრატიის“ მეორე ქვეყანაში — ჰოლანდიაში.

უმუშევრობის გამო მოსაცემი დახმარების მკვეთრი შემცირება, რაც გამოცხადებულ იქნა ჰოლანდიის ხელისუფლების მიერ, 280 ათას მუშაზე გავრცელდა. პროლეტარიატის თითქმის ნახევარი ნაწილობრივ უმუშევარია.

ამსტერდამი, რომელიც მოვლენათა მთავარ ასპარეზს წარმოადგენს, — ყველაზე უფრო დიდი ქალაქია ჰოლანდიაში (750 ათასი მცხოვრებით), იგი ერთერთი უდიდესი მსოფლიო ნავთსადგურია (იტევს 1000-დე გემს). ამსტერდამში თავმოყრილია უდიდესი გემთსაშენები, მეტალურგიული ქარხნები, ხეტყის სახერხი ქარხნები, ორთქლის წისქვილები, ალმასის საწახნაგო საწარმოები, აგრეთვე კვებისა და მსუბუქი ინდუსტრიის მრავალრიცხოვანი საწარმოები (ადს).

ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლის მთლიანი ფრონტი საარის ოლქში

პარიზი, 5 ივლისი. როგორც საარბრუკენიდან იუწყებიან, იქ შესდგა საარის ოლქის კომპარტიის და სოციალისტური პარტიის პირველი საერთო გამოსვლა. ისინი შეთანხმდენ შექმნან ანტიფაშისტური ბრძოლის მთლიანი ფრონტი. საერთო მიტინგზე, რომელსაც 6000 მუშა დაესწრო, ორივე პარტიის წარმომადგენლებმა გაშალეს მთლიანი ფრონტით ბრძოლის პროგრამა. მიტინგის დამთავრების შემდეგ გაიმართა დემონსტრაცია. დემონსტრანტებს თავს დაესხა ჟანდარმერია. მხოლოდ გაფართოებული შეტაკების შემდეგ შესძლო პოლიციამ დემონსტრანტების გაფანტვა. დაიჭრა 5 ჟანდარმი და მრავალი მუშა (ადს).

პაპენი რჩება ვიცე კანცლერის პოსტზე

ვენა, 5 ივლისი. პრესა განსაკუთრებულ მნიშვნელობას აკუთვნებს იმას, რომ პაპენი დარჩება ვიცე-კანცლერის პოსტზე. გაზეთების აზრით, ეს მოხდა ჰინდენბურგის მოთხოვნით და კონსერვატიული წრეების ზეგავლენით. „ვინერ ცაიტუნგს“ ბერლინიდან ატყობინებენ: „აქ არა ერთხელ განუცხადებიათ, რომ მთავრობის მიერ ახალი აღებული კურსი მიდის იმ მიმართულებით, როგორც იგი დასახა მოკლულმა მწერალმა იუნგმა, — პაპენის მიერ მარბურგში წარმოთქმული სიტყვის შემდგენელმა“. (ადს).

ტრევირანუსის დახვრეტა

ლონდონი, 6 ივნისი. რეიტერის სააგენტოს ბერლინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ უკანასკნელ ამბებთან დაკავშირებით დახვრეტილ პირთა შორის არის ბრიუნინგის მთავრობის ყოფილი წევრი — ცნობილი მემარჯვენე მოღვაწე ტრევირანუსი. ამასთანავე აღნიშნავენ, რომ მიუნხენის არქიეპისკოპოსი კარდინალი ფაულგაბერი [illegible] დაპატიმრებული არ არის, მაგრამ იმყოფება ფხიზელი მეთვალყურეობის ქვეშ თავის სასახლეში და რომ სამხედრო პოლიციის აგენტები დაწვრილებით იწერენ იმათ ვინაობას, ვინც მის სანახავად მიდის.

იგივე კორესპონდენტი მეორე ცნობაში გადმოგვცემს, რომ გერმანიის მთავრობა ოფიციალურად უარყოფს გავრცელებულ ხმებს თითქოს ჰერინგი დაშავდა უბედური შემთხვევის გამო.

იმასთან დაკავშირებით, რომ მიუნხენში აკრძალულია უცხო ენებზე ლაპარაკი ტელეფონით, შეწყვეტილ იქნა ლაპარაკი, რომელიც ინგლისურ ენაზე წარმოებდა „ტაიმსის“ მიუნხენელ კორესპონდენტსა და გაზეთის ბერლინის განყოფილების შორის.

იმას, რომ გერმანიაში მდგომარეობა დაძაბულია, მოწმობს აგრეთვე ცნობა, გადმოცემული „დეილი ექსპრესის“ კორესპონდენტის მიერ, რომელიც ახლოს დგას ნაციონალ-სოციალისტურ წრეებთან. კორესპონდენტის სიტყვით, უკმაყოფილო მოიერიშეები ნაუენის რაიონში საშუალო საუკუნეების დროიდან დარჩენილ სარდაფებში ჯერ კიდევ ინახავენ დიდძალ თოფებს და ტყვიამფრქვევებს (ადს).

ბარტუს და საიმონის მომავალი მოლაპარაკებისათვის

ლონდონი, 5 ივლისი. რეიტერის სააგენტოს გადმოცემით, ბარტუს და საიმონის მომავალი მოლაპარაკების დროს, როგორც ფიქრობენ, დიდი ყურადღება მიექცევა საფრანგეთ საბჭოთა კავშირის ურთიერთობის საკითხებს.

რეიტერის სააგენტოს დიპლომატიურმა მიმომხილველმა შეიტყო, რომ საფრანგეთი, როგორც ჩანს, ისარგებლებს შემთხვევით, რომ განმარტოს თავისი პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ და შეეცდება მიიმხროს ინგლისი ამ საკითხში. საფრანგეთის სურვილი, რომ საბჭოთა კავშირი ერთა ლიგის წევრი გახდეს, კარგად ცნობილია. ლიტვინოვის წინადადებას რეგიონალური პაქტების შესახებ თანაგრძნობით შეხვდენ საფრანგეთში და ამიტომ ფიქრობენ, ბარტუ გადადგამს გადამწყვეტ ნაბიჯებს არა მარტო იმ მხრივ, რომ ინგლისმა თანაგრძნობით შეხედოს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის დაახლოებას, არამედ იმ მხრივაც, რომ მისი დახმარებით გაფანტოს შიში, რომელიც გერმანიაში საფრანგეთის პოლიტიკამ გამოიწვია (ადს).

„გერინგი—ეს ომია“

პარიზი, 5 ივლისი. პრაღაში მცხოვრებმა ოტო შტრასერმა, მოკლულ გრეგორ (შტრასერის ძმა) „ენტრანსიჟანის“ კორესპონდენტთან საუბრის დროს განაცხადა, რომ გერინგმა მთავარი როლი შეასრულა გერმანიის უკანასკნელ ამბებში.

ოტო შტრასერის სიტყვით, გრეგორ შტრასერმა მას აცნობა, რომ იგი მოლაპარაკებას აწარმოებდა უშუალოდ ჰიტლერთან, რომელმაც მას შესთავაზა შერიგება და გერინგის პოსტი. გერინგმა გაიგო ამ მოლაპარაკებათა ამბავი. ჰიტლერი, — აღნიშნა შემდეგ ოტო შტრასერმა, — მანევრირობდა, — იგი ემყარებოდა ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ხან მემარჯვენე ხან მემარცხენე ფრთას. გერინგმა კი ახლა მოკვეთა მემარცხენე ფრთას. „ახლა ჰიტლერი ფაქტიურად გერინგის ტყვეა, ხოლო გერინგი, — დაასკვნა ოტო შტრასერმა,— ეს ომია“. (ადს)

ახალი მკვლელობანი

ლონდონი, 5 ივლისი. პრესის ცნობაში გერმანიის ამბების შესახებ აღნიშნულია, რომ მოკლული იქნენ ბავარიის მთელი რიგი გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეები: გენერალი **ლოსოვი, ზეისერი, შტიუტცელი** და კათოლიკეთა მღვდელი **მიულერი**. პრესა დიდ ყურადღებას უთმობს აგრეთვე **შერინგერის** მოკვლას და, ბოლოს, რეაქციული მოღვაწეების — **კარის და ზენტერის** მოკვლას.

საერთო აზრით, პაპენის დატოვება ვიცეკანცლერის პოსტზე აიხსნება ჰინდენბურგის გადაწყვეტილებით, რომელიც გამოტანილ იქნა ჰიტლერის ნებასურვილის წინააღმდეგ.

„დეილი ტელეგრაფის“ ბერლინელი კორესპონდენტი აცხადებს რომ გებელსის მდგომარეობა სრულიადაც არ არის მტკიცე და თუ გებელსი აღმოჩნდა დამსჯელთა და არა დასჯილთა რიცხვში, ეს აიხსნება იმით, რომ ჰიტლერისთვის ის იყო ყველაზე უფრო ძვირფასი წყარო ინფორმაციისა ურჩი ელემენტების შესახებ. გებელსი, —განაგრძობს კორესპონდენტი, ჰიტლერთან ერთად მიუნხენში უნდა გამგზავრებულიყო არა მარტო იმისათვის, რომ ემოქმედა, არამედ იმისათვისაც, რომ „თითონ სასტიკი გაკვეთილი მიეღო“ (ადს).

საფრანგეთის პრესა გერმანიის მდგომარეობის შესახებ

პარიზი, 5 ივლისი. „ჟურნალის“ ბერლინიდან ატყობინებენ, რომ საფრანგეთის ელჩმა პონსემ გუშინ ინახულა საგარეო საქმეთა მინისტრი ნეირატი, რომელთანაც საუბარი ჰქონდა. „საფრანგეთის ელჩი, — წერს გაზეთი, — უეჭველად შეეხო პრესის უმაგალითო თავდასხმას საფრანგეთზე და მის საელჩოზე, რაც იყო შედეგი ოფიციალური განცხადებისა. თითქო შეთქმულებს კავშირი ჰქონოდეთ გაბმული უცხოეთის სახელმწიფოსთან. „გაზეთის სიტყვით, ნეირატმა, ვითომ, აღიარა, რომ საფრანგეთი აქ არაფერ შუაშია და შეჰპირდა, რომ პრესის გამოლაშქრება შეწყდება. ზოგიერთი ცნობით, ასეთივე განცხადებები გააკეთეს საგარეო საქმეთა სამინისტროში ინგლისის და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩებმა. მთელი პრესა აღშფოთებულია „ამ ბრალდებათი უღირსი ხასიათით“. მთელი ამ ხმების, წერს „ანფილი“ განზრახ ავრცელებდენ და მათი მიზანი იყო არასასურველ პირებისათვის ბრალი დაედოთ არა მარტო შეთქმულების მოწყობაში, არამედ ღალატშიც.

ჰავასის სააგენტოს ბერლინიდან ატყობინებენ: კვირას ქუჩებში ისევ დადიან პოლიციელთა საგრძნობი ძალები, მოიერიშეთა მიხაკისფერი ფორმა გაქრა. მოსახლეობის ძირითადი მასა, რომელმაც პირველი დღეების ტერორის საშინელება გადაიტანა, ჯერ კიდევ დიდად შეშფოთებულია.

ვენიდან მიღებული ცნობებით, დღემდე დაპატიმრებულია მოიერიშეთა 3000 მეთაური წინანდელი ხმების წინააღმდეგ „ჟურნალი“ იტყობინება, რომ გერმანიის ნაციონალისტების ყოფილი ბელადი ტრევირანუსი კი არ დაუპატიმრებიათ, არამედ გაიქცა.

უცხოეთის პრესის სააგენტოს გადმოცემით, საზღვარგარეთ გაიქცნენ საკონცენტრაციო ბანაკის ცნობილი უფროსი ორანიენბურგი, რემის შოფერი და ადიუტანტი რეინგარტი.

საქმეს კარგად გაცნობილი ტაბუნი „ევრში“ წერს, რომ გერმანიაში მრავალი გერმანელი, რომელთაც მრეწველობასა, ბანკებსა ან ვაჭრობაში საპატიო მდგომარეობა უკავიათ, ფიქრობს, რომ უკანასკნელი ამბები ჰიტლერის რეჟიმის დასასრულის დასაწყისია (ადს).

იაპონიის პრესის კომენტარიები ოკადას პრემიერად დანიშვნის გამო

ტოკიო, 5 ივლისი. ყველა გაზეთი დადებითად აფასებს ამ გარემოებას, რომ მთავრობის შედგენა ადმირალ ოკადას დაევალა. გაზეთების სიტყვით, პრემიერის პოსტზე ოკადას წამოყენებისას საიონძიმ, ყოფილმა პრემიერებმა და საიდუმლო საბჭოს თავმჯდომარემ თათბირზე მტკიცედ გადაწყვიტეს, რომ ახალმა მთავრობამ უნდა განაგრძოს საიტოს მთავრობის პოლიტიკა.

„ძი-ძი“ აღნიშნავს საიტოს და ოკადოს მეგობრობას ამ ახლო წარსულში და მათ შეხედულებათა ერთიანობას.

„კოკუმინის“ სიტყვით, ოკადა ითვლება „კრისტალურად პატიოსან სახელმწიფო მოღვაწედ და ამიტომ შესძლებს აღკვეთოს ბოროტმოქმედებანი“.

სიმბუნ რენგო ამტკიცებს, რომ ოკადას დანიშვნა აღმოჩნდა „სასიამოვნო სიურპრიზი“ არა მარტო საზღვაო და სამხედრო წრეებისათვის, რომელნიც „მთავრობას განუსაზღვრელ დახმარებას პირდებიან“, არამედ ფინანსიური და საქმიანი წრეებისთვისაც, „რომელნიც მოელიან, რომ ოკადას დანიშვნას შედეგად მოჰყვება პოლიტიკურ ატმოსფეროს გაწმენდა და კაბინეტისადმი საზოგადოებრივი ნდობის აღდგენა“.

1933 წლის საზღვაო კონფერენციის მოწვევის ვადის მოახლოვება, — წერს სააგენტო, — უეჭველად არის პრემიერის პოსტზე ადმირალის დანიშვნის ერთი-ერთი მნიშვნელოვანესი მიზეზი“. სააგენტო აღნიშნავს, რომ ოკადა ითვლება მოხერხებულ ტაქტიკოსად პოლიტიკაში და ყველა დარწმუნებულია, რომ ის თავს გაართმევს მდგომარეობას.

პრესის მიერ მოცემულ საერთოდ დადებით შეფასებასთან ერთად, მოიპოვება ცნობები, რომ არმიის ზოგიერთ წრეში ოკადას დანიშვნით უკმაყოფილო არიან (ადს).

მოიერიშე რაზმების ბედი

ვენა, 5 ივლისი. გაზეთები ერთსულოვნად აცხადებენ, რომ მოიერიშე რაზმების ბედი გადაწყვეტილია და რომ იძულებითი შვებულების შემდეგ მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი იქნება შენარჩუნებული რეიხსვერის მფარველობით (ადს).

ივლისი წყვეტს წლიური გეგმის ბედს

მთელი ძალების მობილიზაცია ჩაის მასიური კრეფისათვის

საჭიროა გადამჭრელი ზომები

(სენაკი, ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

მაისსა და ივნისში სენაკის რაიონში 77 ათასი კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი უნდა მოეკრიფათ. ფაქტიურად მხოლოდ 58.862 კილოგრამი მოკრიფეს.

ეს ჩამორჩენა, უმთავრესად, იმით არის გამოწვეული, რომ საკოლმეურნეო და ტერიტორიალურმა პირველადმა პარტორგანიზაციებმა საჭირო ხელმძღვანელობა ვერ გაუწიეს ამ საქმეს. სწორად ვერ გაანაწილეს ძალები, რომ სხვა სამუშაოებთან ერთად ჩაის კრეფის გეგმები დროზე შეესრულებინათ (სოფ. ფოცხო, ზანა, ეკი, უშაფათი).

ჩამორჩენილია ჩაის პლანტაციების მეორე თოხნაც, გეგმა შესრულებულია 90,5 პროც. გამოხელვა კი 90,9 პროც.

ჩაის სამუშაოები განსაკუთრებით ჩამორჩენილია სოფ. **ზანაში**, სადაც ჩაის კრეფის გეგმა ივნისში მხოლოდ 25 პროც. შესრულდა. კოლმეურნეობა „სოციალიზმისაკენ“ ჩაის კრეფის გეგმა შესრულებული აქვს მხოლოდ 10 პროც.

ამ ჩამორჩენის მიზეზი ის არის, რომ ზანის სას. საბჭოში შემავალ მეურნეობათა ხელმძღვანელებმა საჭირო აქტიობა ვერ გამოიჩინეს და ვერ დარაზმეს კოლმეურნე მასები ჩაის სამუშაოთა გარშემო. ერთპიროვნულ მეურნეობების ჩამორჩენას ჩაის გეგმების შესრულებაში დამშვიდებით შესცქერის სოფსაბჭო.

ზოგან (სოფ. ეკის კაგანოვიჩის სახ. კოლმეურნეობა) არ იცავენ ჩაის კრეფის აგროწესებს, რის გამოც მოკრეფილი ფოთლის ხარისხი დაბალია.

აგროწესების დაუცველობის გამო ადგილი აქვს აგრეთვე პლანტაციების განადგურებას: სოფ. ზანის კოლმეურნეობა „განათლების“ წევრებმა **ანთიამ კულტივაციის ნაცვლად ჩაის რიგთა შორის ფართობი კავით დახნა და ამით ჩაის ბუჩქებს ძირები დაუზიანა.**

ამ კოლმეურნეობის ხელმძღვანელები სრულ უპასუხისმგებლობას იჩენენ ჩაის სამუშაოებისადმი. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია მოვიყვანოთ შემდეგი: ივნისის დამლევს, როცა გამორკვეული იყო, რომ კოლმეურნეობა ძალზე ჩამორჩენილია და ჩაის გეგმების შესრულებისთვის გაორკეცებული მუშაობაა საჭირო, გამგეობამ, იმის ნაცვლად, რომ დაერაზმა კოლმეურნეები გამოიტანა დადგენილება კვირაში ორი დღით დასვენების შესახებ.

გამგეობის ასეთ **უმსგავსო** ნაბიჯს არც პარტორგანიზაციამ გაუწია **წინააღმდეგობა და**, რომ საქმეში პოლიტგანყოფილება არ ჩარეულიყო, გამგეობა ამ შემცდარ გადაწყვეტილებას განახორციელებდა.

არც **ლეძაძამის** სოფსაბჭოშია სახარბიელო მდგომარეობა. კოლმეურნეობა „დამკვრელის“ პლანტაცია გაუხელავია, მოუვლელი და შეუღობავი.

ასევე მოუვლელია კოლმეურნეობა „ციავას“ პლანტაციები, რომლებიც სარაველა ბალახით —ქასრათია დაფარული.

საჭიროა სენაკის პარტრაიკომმა და პოლიტგანყოფილებამ გადამჭრელი ზომები მიიღონ ჩაის კრეფაში ჩამორჩენის გამოსასწორებლად, გადაისროლონ მთელი ძალები ჩაის სამუშაოებზე და ივლისის გეგმის გადაჭარბებით შესრულებასთან ერთად უზრუნველყონ მაისის და ივნისის დანაკლისის დაფარვა.

ბ. უჩანეიშვილი

ჩაის კრეფა ჩაქვის საბჭოთა მეურნეობაში

ჩაის კრეფა 5 ივლისისათვის

(საქ. ჩაის ცნობები)

საფაბრიკო რაიონები	გეგმა (კილოგრამებ.) წლიური	გეგმა (კილოგრამებ.) ივლისის	დამზადებ. (კილოგრ.) სეზონის დაწყებიდან	დამზადებ. (კილოგრ.) ივლისში	გეგმის შეს. %% წლიური	გეგმის შეს. %% ივლისის
სალიბაურის	353.000	89.200	173.877	11.629	49.2	13.0
ჩაქვის	646.400	164.400	343.312	26.508	53,1	16.1
ბობოყვათის	370.	92.500	197.092	16.179	53.3	17.5
ხუცუბნის	391.400	101.800	184.545	8.690	47.1	8,5
ნატანების	161.000	40.300	79.276	5.192	49.2	12.9
შრომის	290.000	72.500	101,298	6.804	34.9	9.4
ოზურგეთის	1.195.700	306.800	508.350	25.548	42.5	8.3
მაღალ ეწერის	311,000	77.700	154.071	8.627	49.5	11,1
აცანის	417.400	104.400	183.890	4.565	44.1	4.4
ნიგვზიანის	354.600	88.700	118.346	5.979	33,4	6.7
ჩოხატაურის	187.000	50.600	79.413	3.315	42.5	6.5
ხონის	12.000	3.600	3.118	573	26.0	15.9
უშაფათის	171.000	46,200	65,070	5.745	38.0	12.4
დიდი ჭყონის	178.500	50.400	71.121	6.261	39.8	12.4
ზუგდიდის	457.900	128.000	177.819	8.565	38.8	6,7
წალენჯიხის	116.500	31.900	50.536	3.333	43.4	10.4
გალის	329.700	86.700	141.898	8.774	43.1	10,1
ახალ ხიბულის	28,000	6.200	5.100	375	22.2	6.0
კოდორის	47.000	12,300	20.763	1.988	44.2	16,2
ოკრიბის	12.000	3.400	2.212	71	18.4	2.1
ს უ ლ	6.074.100	1.570.900	2.692.341	168.228	44.3	10.7

ივლისში უნდა დაიფაროს დანაკლისი

(ზუგდიდი, ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

ივნისში ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობებს სახელმწიფოსათვის უნდა ჩაებარებინა 51.697 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. მათ უნდა დაეფარათ აგრეთვე მაისის თვის დანაკლისი 29.537 კილოგრამი.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში პირველადი პარტიული ორგანიზაციები პირველ მცნებად არ თვლიდენ ფოთლის ჩაბარების გეგმის შესრულებას, **მკრეფავთა ჯგუფები განმტკიცებული არ იყო დამკვრელი კოლმეურნეებით, ჯგუფები მიმაგრებული არ იყო პლანტაციის განსაზღვრულ ნაკვეთებზე: როგორც გაზ. „კომუნისტში“ იყო აღნიშნული, შრომის ორგანიზაციის საკითხს არ ექცეოდა სათანადო ყურადღება და სხვ.**

უკანასკნელად პარტიის რაიონულმა კომიტეტმა და სამ.-სატ. სადგურის პოლიტგანყოფილებამ გაატარეს მთელი რიგი ღონისძიებანი ამ დეფექტების აღმოსაფხვრელად. მკრეფავთა ჯგუფების განსამტკიცებლად მობილიზებულ იქნა პარტიის, კომკავშირის წევრები და საკოლმეურნეო აქტივი.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, რაიონის კოლმეურნეობებს სახელმწიფოსათვის უნდა ჩაებარებინათ 51.697 კილოგრამი ფოთოლი, ნამდვილად კი ივნისში მოიკრიფა და ჩაბარდა 67.542 კილო, ანუ გეგმის 130 პროცენტი.

მკრეფავთა ჯგუფების სწორი ორგანიზაციის და ჯგუფებს შორის სოცშეჯიბრების და დამკვრელობის გაშლის შედეგად, მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა შეასრულეს ივნისის გეგმა და შეავსეს მაისის თვის დანაკლისი. ასე, მაგალითად, სოფ. რუხის ამხ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ყორშია) მოკრიფა 23.388 კილოგრამი. ორი თვის გეგმა შეასრულა 111 პროცენტით.

გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს აგრეთვე ძველი აბასთუმანის, ოდიშის, ზედა ეწერის, ჭითაწყაროს და ჭაქვინჯის კოლმეურნეობებმა.

უკანასკნელ ხანებში მიღწეული გაუმჯობესება სრულებით არ ნიშნავს იმას, თითქოს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფაში ახლა ადგილი აღარა აქვს სერიოზულ ნაკლს არა, ნაკლი კიდევ არის. არიან სამარცხვინოდ ჩამორჩენილი კოლმეურნეობები, რომელთაც არ შეუსრულებიათ არც მაისის და არც ივნისის გეგმა (**ნარაზენი, ქალაქის საბჭოს სახელობის კოლმეურნეობა, კოლხიდა და ჯიხისკარი**).

რაიონში კოლმეურნეობებმა ივნისის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს, მაგრამ მაისის გეგმის დანაკლისი არ არის დაფარული.

მაისში და ივნისში რაიონის ერთპიროვნულმა მეურნეობებმა მოკრიფეს 31965 კილო ჩაის ფოთოლი, გეგმის 72 პროც. მხოლოდ ივნისის გეგმა აქაც გადაჭარბებითაა შესრულებული.

ზუგდიდის რაიონს მოეპოვება ყველა პირობა იმისათვის, რომ ივლისში მთლიანად შეასრულოს ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა და შეავსოს მაისის დანაკლისი. ყოველ მიზეზს გარეშე ეს დავალება შესრულებული უნდა იქნას.

ქ. შეროზია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ცნობები შლეიხერის მოკვლის შესახებ

ლონდონი, 5 ივლისი. „დეილიმეილის" კორესპონდენტი შლეიხერის მოკვლის შესახებ გადმოგვცემს დაწვრილებით ცნობებს, რომლებიც, მისი სიტყვით, მოკლულის მსახურისაგან გამომდინარეობს. შლეიხერი მოკლეს სამოქალაქო ტანისამოსში გამოწყობილმა ადამიანებმა, რომლებმაც, მის ბინაზე გამოცხადებისთანავე, ესროლეს მას და მის ცოლს უფრო ადრე, ვიდრე ისინი თავიანთ ადგილიდან ადგომას მოასწრებდენ. სახლში მყოფმა პირებმა ტელეფონით პოლიციას აცნობეს. პოლიციის აგენტები დაახლოვებით ნახევარ საათს აწარმოებდენ კვლევა-ძიებას, მაგრამ შემდეგ ხელისუფალთაგან მოვიდა განკარგულება შეეწყვიტათ კვლევა-ძიება, და აგენტები უკან გაბრუნდენ (ადს).

„მიხაკისფერ არმიას ბოლო მოეღო"

ლონდონი, 5 ივლისი, რეიტერის სააგენტოს ბერლინიდან ატყობინებენ, რომ მოხელეები, რომლებიც განსაკუთრებული ნდობით სარგებლობენ, გულდასმით ეცნობიან მოიერიშე რაზმების ყველა კანცელარიის დოკუმენტებს. ერთ-ერთმა მოიერიშემ რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტს განუცხადა:

„მიხაკისფერ არმიას ბოლო მოეღო. ჩვენგან მხოლოდ უმცირესობა მოელის, რომ შვებულების დამთავრების შემდეგ ისინი აღდგენილ იქნებიან"

კორესპონდენტი აღნიშნავს უკმაყოფილებას მოიერიშეთა შორის, რომლებიც, როგორც ჩანს, ჩქარად ადგებიან „გამემარცხენების" გზას. კორესპონდენტის სიტყვით, ჯერ კიდევ უკანასკნელ ამბებამდე ფართოდ იყო გავრცელებული აზრი, რომ მოიერიშეთა მესამედი ნაწილი გაჟღენთილია „აშკარად გამოხატული კომუნისტური სიმპატიებით".

ერთმა მედუქნემ, რომელმაც უკანასკნელი არჩევნების დროს ხმა მისცა ნაციონალ - სოციალისტებს, განაცხადა, რომ „მას მობეზრდა მთელი ეს ბანდა" (ადს).

საბჭოთა კავშირში

26 ივნისს მოსკოვში გაიხსნა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის პირველი სხდომა. **სურათზე:** აკადემიის პრეზიდენტი კარპინსკი (შუაში), ვიცე-პრეზიდენტი კომაროვი (მარჯვნით) და აკადემიის მუდმივი მდივანი: ვოლმანი.

◆

მოსკოვი საერთო ზეიმი კონსტიტუციის 11 წლისთავის გამო

მოსკოვი, 7 ივლისი. გუშინ გორკის სახელობის ცენტრალური პარკში გაიმართა მოსკოვის საერთო ზეიმი საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის 11 წლისთავის აღსანიშნავად. პარკის ტერიტორია მორთულია დროშებით, პლაკატებით, ბელადთა დამკვრელთა, კოლმეურნეობების გამოჩენილ ადამიანთა პორტრეტებით.

სასპორტო მოედნებზე ჩატარდა მოსკოვის ეროვნული და უცხოური კლუბების ერთდღიანი სპარტაკიადა ყველა სახის მსუბუქ ატლეტიკაში. საღამოს 7 საათზე თავდაცვის სახლთან გაფრინდა სამი სფერიული აეროსტატი.

ხალისიანად, მხიარულად იზეიმა საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის დღე ბავშთა ქალაქმა. საღამოს აქ მოეწყო საუბარი კოცონთან. ყურადღების ცენტრში იყვნენ ნოვაია უდის პიონერები და მოწაფეები. მაყურებელთა უზარმაზარი მასა შეაგროვა ლენინის რაიონის გასამხედროვებულმა თამაშმა.

საღამოს 7 საათზე მწვანე თეატრში ამხ. ბულგანინის თავმჯდომარეობით გაიხსნა მოსკოვის საერთო მიტინგი, რომელსაც დაესწრო 20 ათასზე მეტი კაცი.

მქუხარე ხანგრძლივი ტაშით შეხვდენ ამხ. სტალინის არჩევას მიტინგის საპატიო თავმჯდომარედ.

საბჭოთა კავშირის 11 წლისთავის შესახებ დიდი მოხსენებით გამოვიდა მომარაგების სახალხო კომისარი ამხ. მიქოიანი (ადს).

გორკის დინამოელთა ავტოგადარბენა

მოსკოვი. 5 ივლისი. დღეს დაიწყოს გორკის დინამოელთა ავტოგადარბენა გორკის საავტომობილო ქარხნის მიერ დამზადებული მანქანებით. გადარბენის მარშრუტი ასეთია: გორკი—მოსკოვი—ხარკოვი — ორჯონიკიძე — ტფილისი — ერევანი— ბათუმი —ნოვოროსიისკი — კრასნოდარი— ხარკოვი — მოსკოვი— გორკი. გასავლელია 6.500 კილომეტრი. დამატებითი საკონტროლო ხელსაწყოებით მოწყობილი მანქანები კარგად მიდიან (ადს).

მოსავლის აღება

მოსავალი აღებულია 55.231 ჰექტარზე

(მიწსახკომის ცნობების მიხედვით)

5 ივლისისათვის საქართველოში (საბჭოთა მეურნეობების გამოკლებით) თავთავიანი კულტურები აღებული იყო 55.231 ჰექტარზე, რაც ნათესების 13,7 პროცენტს შეადგენს (1 ივლისისათვის მოსავალი აღებული იყო 24.486 ჰექტ. ნათესების —6,1 პროც.).

5 ივლისისათვის კოლმეურნეობებს მოსავალი აღებული ჰქონდათ 22.056 ჰექტ. ერთპიროვნულ მეურნეობებს 33.175 ჰექტარზე.

რაიონების მიხედვით მოსავალი აღებულია: **გურჯაანის** რაიონში— 5338 ჰექტ. **სიღნაღის** რაიონში — 14.560 ჰექტ. **თელავის** — 3.746 ჰექტ. **ყვარლის** 3.777 ჰექტ. **ლაგოდეხის** 6.573 ჰექტ. **საგარეჯოს** — 2244 ჰექტ. **ტფილისის**—7.075 ჰექტ. **ყარაიას** — 1.661 ჰექტ. **ბორჩალოს** 3.863 ჰექტ. **ლიუქსემბურგის** — 2.658 ჰექტ. **დუშეთის**—25 ჰექტ. **ალბულაღის** — 2.399 ჰექტ. **სტალინისის** —268 ჰექტ. **გორის** — 45 ჰექტ **კასპის** 585 ჰექტ. **სამტრედიის** — 272 ჰექტ. და **ხონის** რაიონში 142 ჰექტარზე.

მოსავლის აღებისათვის მზად არიან

(კასპი, „კომუნისტის" ბრიგადისაგან)

კასპის კოლმეურნეობის **„ძმობის"** ყანებს ნამდვილ ენტუზიასტთა მზრუნველი ხელი ამჩნევია. კოლმეურნეები გახარებული შესცქერიან მწიფე თავთავებით მოფენილ მინდვრებს და გაფაციცებით ემზადებიან უდანაკარგოდ აღებისთვის.

კოლმეურნეობასთან არსებული პირველადი პარტორგანიზაციის პარტორგანიზატორმა ამხ. **რეზო მალლაფერიძემ** მოსავლის აღებისათვის მზადების პერიოდში მთავარ ამოცანად დაისახა ბრიგადებში პარტიული ძალების სწორად განაწილება, მიცემულ დავალებათა დროზე შესრულება და მუშაობის დროს ამხანაგებისთვის ყოველდღიური, კონკრეტული დახმარების აღმოჩენა.

წელს კოლმეურნეობა „ძმობას" ასაღები აქვს პური 311 ჰექტარზე. სახელმწიფოს უნდა ჩააბაროს 34 ცენტნერი მარცვლეული. კოლმეურნეობის 60 მუშა პირუტყვი გადაყვანილია გაძლიერებულ კვებაზე და სანიმუშოდაა მოვლილი

კოლმეურნეებს უკვე შეკეთებული და გამზადებული აქვთ 10 ურემი, 18 ცელი, 12 სამთითი, ნამგლები და სხვ. მიღებულია ზომები ბრეზენტების და ტომრების შესაძენად.

მოსავლის აღების დროს ხანძართან საბრძოლველად გამოყოფილია სპეციალური ბრიგადები, რომლებიც მიმაგრებული არიან ფბნებზე: შეძენილია სახანძრო იარაღი ვედროები, ბოჭკები და სხვ.

კოლმეურნეობაში თვალსაჩინოა კომუნისტების ავანგარდული როლი.

კომუნისტ: **გიორგი მარგარაშვილს** მაისში გამომუშავებული აქვს 49 შრომადღე. **ჩ. ყაზარაშვილს** 45 შრ. დღე.

განსაკუთრებით გამოირჩევა კომკავშირელი **გოგია გზირიშვილი;** მიუხედავად იმისა, რომ იგი ორი თვე კურსებზე იმყოფებოდა, მაინც არ ჩამორჩა თავის ამხანაგებს და დღემდე 106 შრომადღე გამოიმუშავა. მოსავლის აღებასთან დაკავშირებით მან თავი დამკვრელად გამოაცხადა და არც ერთი დღე არ გაუცდენია.

კოლმეურნეობა „ძმობასთან" არსებული პირველადი პარტორგანიზაციის ერთად-ერთ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ არასაკმაო ყურადღება ექცევა თანამგრძნობთა ჯგუფების მოწყობას.

„ძმობას" არ ჩამორჩება სოფ. ქვ. გომის კოლმეურნეობა (პარტორგანიზატორი ამხ. **მანჯგალაძე**) აქაურმა კოლმეურნეებმა პარტიული ორგანიზაციის ცოცხალი ხელმძღვანელობით და დახმარებით ბრიგადებ შორის სოციალისტური შეჯიბრება გააჩაღეს.

მოსავლის აღებისათვის წინასწარი მოსამზადებელი მუშაობის შესამოწმებლად მოწვეულ კოლმეურნეთა თათბირზე გამოირკვა, რომ კოლმეურნეები განიცდიან ტომრებისა და ბაწრების ნაკლებობას. კასპის სამ.-სატრ. სადგურის პოლიტგანყოფილებას მიღებული აქვს ღონისძიებანი ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

პარტორგანიზატორის ამხ. **მჭედლიშვილის** სწორი მუშაობით აქ საგრძნობლად გაძლიერდა კომუნისტების ავანგარდული როლი. თვითონ ამხ. მჭედლიშვილს მიმდინარე წლის იანვრიდან დღემდე გამომუშავებული აქვს 124 შრომადღე, **მიხა გელაშვილს** —122. **იოსებ გეჯაძეს 135.**

კოლმეურნეობაში ქალთა შრომის ფართოდ გამოყენებას ხელს უშლის საბავშო ბაგის უქონლობა, რასაც ადგილობრივი ორგანიზაციები არ უწევენ სათანადო ანგარიშს.

ვ. კილურაძე
გრ. აროსია

ალაზნის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობა. კომბაინიდან მარცვლეულის ავტომანქანაში ჩაყრა.

კ. გორდელაძე

ი. წერეთლის გამოსვლა ნ. ჟორდანიას წინააღმდეგ

> «Против Ничто, как враг нещадный,
> Восстало Нечто, мир нескладный».
> Гете.

დიდი ხნის წინად განადგურებული და ნილაბჩამოგლეჯილი ქართული სოციალ-ფაშიზმი იმდენად უბადრუკ მდგომარეობაში იმყოფება, რომ არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს ხშირად და განსაკუთრებით შევჩერდეთ მის დახასიათებაზე, მაგრამ უკანასკნელ წლებში ამ მომაკვდავი ქვეწარმავლის გახრწნამ ისეთი ხასიათი მიიღო, რომ საჭიროთ მიგვაჩნია შევაჩეროთ მასზე მკითხველის ყურადღება.

რამდენიმე წლის წინად რუსული და ქართული მენშევიზმის ერთ-ერთმა მამამთავარმა, ნამდვილმა პოლიტიკურმა ქამელეონმა **კ. ჩხეიძემ** არ დაინდო თავისი თავი და ყელი გამოჭრა. თვითმოსპობის ამ აქტში უსათუოდ იყო რაღაც სიმბოლიური! იმედგაცრუებულმა წვრილბურჟუაზიულმა დემოკრატმა, როცა ის დარწმუნდა მენშევიზმის სრულ გაკოტრებაში, ერთად ერთი გამოსავალი მხოლოდ თვითმკვლელობაში ნახა. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც მენშევიკური კონტრ-რევოლუციის ცოცხალი განსახიერება, ნ. რამიშვილი გამოესალმა წუთისოფელს თავისივე პარტიული კოლეგის ხელით.

თუმცა ჯერ-ჯერობით უფრო სხვა სახით მათ კვალს მოჰყვებიან ქართული მენშევიზმის ცოცხლად დარჩენილი ბელადები. მათ შორის თვით ნ. ჟორდანია და ი. წერეთელი. პოლიტიკური სიკვდილის ნემეზიდა არ ინდობს იმათაც.

მენშევიკური ემიგრაციის ნამსხვრევები, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, წარმოადგენს, როგორც თვითონ აღნიშნავენ, სხვადასხვაგვარი „ფრაქციების" კონგლომერატს, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებიან პოლიტიკური სისაძაგლეში. მათგან მთავარია: „პოზიცია" ნ. ჟორდანიას მეთაურობით, „ძველი ოპოზიცია" ი. წერეთლის და რ. არსენიძის მეთაურობით და ეგრედწოდებული „ცენტრი", რომელიც აერთიანებს დანარჩენ ხროვას. მეტოქეობამ პირველ ორ ჯგუფებს შორის მიიღო ბრძოლის უფრო მწვავე ფორმა. საქმე იქამდისაც მივიდა, რომ ირაკლი წერეთლის მოქმედება ნ. ჟორდანიამ შეაფასა, როგორც „ბოლშევიზანური" მოქმედება. თავისთავად ცხადია, რომ ირაკლი წერეთლის მოქმედებაში არ შეიძლება იყოს თვით „ბოლშევიზანობის" ერთი ატომიც კი, ვინაიდან რუსეთის კონტრ-რევოლუციური ბურჟუაზიის ეს მამლაყინწა, ამხ. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, ისტორიის მიერ განწირულია მოკვდეს მენშევიკურ მოლაყბედ.

მაგრამ ამისაგან დამოუკიდებლად, აღნიშნული ფაქტი აშკარად მოწმობს, თუ რამდენად ძლიერია გახრწნა ამ სოციალ-ფაშისტურ არამზადებს შორის. თუ ი. წერეთლის მოქმედება — ჟორდანიამ „ბოლშევიზანობის" სახელწოდებით მონათლა. ი. წერეთელმაც თავის მხრივ უარი სთქვა ნ. ჟორდანიას ჯგუფთან თანამშრომლობაზე.

აი, რას სწერს სიტყვა-სიტყვით ამის გამო ირთ-ერთ თავის წერილში ნ. ჟორდანია.

ჩვენ მივმართეთ „...ჩვენგან გამდგარ ქართულ სოციალ-დემოკრატებს შემოკრებილიყვნენ პარტიის და მის ხელმძღვანელ ორგანოთა ირგვლივ, ჩამდგარიყვნენ პარტიის ორგანიზაციულ წყობაში და მიეღოთ თავიანთ თავზე პარტიული მოვალეობანი. ამის საპასუხოთ მათ ირ. წერეთლის, რ. არსენიძის, შ. აბდუშელის და ვ. ნოზაძის მეთაურობით და ხელისმოწერით, ბროშიურით გვიპასუხეს თანამშრომლობაზე უარი... ჩვენ შევეკითხეთ ნათლად: მიეღოთ მონაწილეობა ახალ ბიუროს ახალწევრებზე აგებულ მუშაობაში. მათ კი გვიპასუხეს: ბიუროში მონაწილეობაზე უარს გეუბნებითო!" („ბ. ხ." № 36).

შემდეგ მას მოჰყავს ციტატები ხსენებული ბროშიურიდან ირაკლი წერეთლის პოზიციის შესახებ, საიდანაც ჩვენ ვტყობილობთ, თუ რაში სდებს ბრალს „ოპოზიცია" ნ. ჟორდანიას ჯგუფს. „მათ რომ კითხოთ,— წერს იქვე ჟორდანია—ბიუროს მუშაობის სისტემამ „ჩვენი პარტიის და ქვეყნის საქმეს პირდაპირი დამღუპველი შედეგები მოუტანა"... დავა დაიწყო წერეთელმა ტაქტიკაზე და გადაიტანა იგი ფართე მასაში".

რა მაგრად არის ნათქვამი „ფართე მასაში!"—„დამღუპველი შედეგები მოუტანა ჩვენს ქვეყანას"... და სხვ. სადა გყავთ თქვენ, ბ-ო ნ. ჟორდანია, მასა? ნუ თუ დაგავიწყდათ, რომ საუკეთესოებმა უკვე დიდი ხანია დასტოვეს თქვენი კონტრრევოლუციური პარტიის მთლიანად დამპალი რიგები. ხოლო ჩვენმა ქვეყანამ თქვენ დიდი ხანია აგიგო წესი და გადაგყარათ ბურჟუაზიულ სანაგვე ყუთში, როგორც უსარგებლო და მავნე ნაგავი. მართალია მხოლოდ ის, რომ ჩვენს ქვეყანას. თქვენი აგენტების შარლატნური მოქმედების შედეგად, 1924 წელს უკანასკნელად მოუხდა ერთხელ კიდევ ჰქონოდა საქმე თქვენს ჩვეულებრივ ავანტიურისტულ მახინაციასთან. საბჭოთა საქართველოს ყოველმა მუშამ და მშრომელმა გლეხმა უკვე დიდი ხანია გაიგო თქვენი პოლიტიკის ავანტიურისტული და დამღუპველი რაობა. **თუ დღეს, ასეთი დაგვიანებით, ამაშივე დარწმუნდა ირაკლი წერეთელიც,** მაშინ ისეთი პოლიტიკური იმპოტენტისათვის ეს უსათუოდ მთელი პოლიტიკური გმირობაა". მაგრამ ჩვენ ოდნავადაც არ გვეპარება ეჭვი იმაში, რომ იგი ვერ შესძლებს გამოიყვანოს აქედან შესაფერი პოლიტიკური და პრაქტიკული დასკვნები. ასეთია ყველა პოლიტიკური ქამელეონის ბუნება.

სულ ამ ცოტა ხნის წინად ქართველი მენშევიკების ნარჩენები ამაყობდენ ირაკლი წერეთლით, როგორც თავისი წარმომადგენლით კაპიტალიზმის დამცველ მეორე ინტერნაციონალში. ხოლო დღეს თვით ნოე ჟორდანია მასზე სულ სხვა აზრისაა. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს მათ შორის მომხდარ განხეთქილებას, რაც ამ ფაქტების გარეშეც არავითარ ეჭვს არ იწვევს, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც თვით ნ. ჟორდანიას სიტყვით ოპოზიციამ წერეთლის მეთაურობით უარი განაცხადა მასთან თანამშრომლობაზე. წერეთელი და მისი მომხრეები უკვე არ შედიან მენშევიკური ემიგრაციის ბიუროში და მეორე ინტერნაციონალის ალმასკომში. ჩამოთვლის რა მეორე ინტერნაციონალში ქართველი მენშევიკების წარმომადგენლობის „მუშაობას", ნ. ჟორდანია წერს: „არც ერთ ამ მუშაობაში წერეთელი არ იღებდა მონაწილეობას და მას ასე გამზადებული საქმე ჩავაბარეთ ჰამბურგის კონგრესზე. აი, ამ დღიდან იწყება ჩვენი საქმის დაქანება უკან". (იქვე).

ეს ამონაწერი ნ. ჟორდანიას წერილიდან ჩვენ მოვიყვანეთ იმ მიზნით, რომ თვით პირველი წყაროს საფუძველზე ცხადვყოთ მენშევიკური ემიგრაციის სრული რღვევის ფაქტი.

საჭირო არ არის იმის მტკიცება, რომ რღვევა მენშევიკური ემიგრაციისა, რომელიც შეადგენს რუსეთის თეთრი ემიგრაციის განუყრელ რგოლს, სრულიადაც არ წარმოადგენს შემთხვევით მოვლენას. იგი საბჭოთა კავშირში სოციალიზმის გამარჯვების, ჩვენი მტრების სასტიკი დამარცხების და მთელს მსოფლიოში კაპიტალიზმის კრიზისის ერთ-ერთი შედეგია. საბჭოების ქვეყნის მუშათა კლასი ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით ახდენს კაპიტალიზმის ფესვების საბოლაოთ ამოფხვრას და ამით უსპობს კონტრრევოლუციურ პარტიების ნამსხვრევებს მათ მასაზრდოებელ სოციალურ ბაზას. კაპიტალისტური ელემენტების განადგურებამ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციამ, სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აშენებამ და სხ., სასიკვდილო ლახვარი ჩასცა კონტრრევოლუციურ პარტიებს და მიმდინარეობებს,—მათ შორის ქართულ მეშევიზმსაც. აი ამიტომ ვლაპარაკობთ ჩვენ, რომ ქართული სოციალ-ფაშიზმის უცხოეთში შემორჩენილ ნამტვრევების გახრწნის გაძლიერებული პროცესი წარმოადგენს ჩვენი სოციალისტური მშენებლობის გამარჯვების აუცილებელ შედეგს.

მენშევიკურ ემიგრაციაში მომხდარი განხეთქილება, რამაც ნ. ჟორდანიას და ი. წერეთელის საზღვარგარეთ გარიყულ დაჯგუფებებს შორის მიიღო მწვავე ბრძოლის ფორმა, წარმოადგენს კონტრრევოლუციური მენშევიზმის ამ უკანასკნელი ჯგუფების სიკვდილის აგონიას.

ნ. ჟორდანიას და ი. წერეთელს ისღა დარჩენიათ, რომ გაჰყვენ კ. ჩხეიძის კვალს.

კ. შარია

ეპოქის უდიდესი დოკუმენტი

> „კონკრეტულ - ისტორიული პირობები როგორც გამოსავალი პუნქტი, საკითხის დიალექტიკური დაყენება, როგორც ერთად-ერთი სწორი დაყენება — ასეთია გასაღები ნაციონალური საკითხის გადაწყვეტისათვის".
> (სტალინი, „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი").

ამ ცოტა ხნის წინათ მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტმა გამოსცა ამხ. სტალინის წიგნი „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი", სადაც მოთავსებულია ბელადის სტატიები და სიტყვები, დაწერილი და წარმოთქმული სხვადასხვა დროს. მიუხედავად იმისა, რომ კრებულში მოთავსებული თითქმის ყველა სტატია და სიტყვა თავის დროზე გამოქვეყნებული იყო (ზოგიერთი რამოდენიმეჯერ) სხვადასხვა პერიოდულ ორგანოში, ქრესტომატიებში, ცალკე ბროშურებად — მათი გამოცემა ერთ მთლიან წიგნად წარმოადგენს უდიდესი მნიშვნელობის საქმეს, რადგან უადვილებს ბოლშევიკებს შეისწავლონ ეს გენიალური ქმნილება, რომელიც წარმოადგენს სოციალისტური რევოლუციის ერთ-ერთი ძირითადი საკითხის — ნაციონალური საკითხის კლასიკურ გადაწყვეტას. ეს წიგნი არსებითად წარმოადგენს შესანიშნავი „ლენინიზმის საკითხების" გაგრძელებას და მსოფლიო კომუნისტურ ლიტერატურაში დაიკავებს საპატიო ადგილს მარქს-ენგელს-ლენინის კლასიკურ ნაწარმოებებში.

დიდი კადნიერება იქნებოდა დაგვესახა მიზნად ერთ სტატიაში თუნდაც დაახლოვებით გადმოგვეცა იდეათა ის კოლოსალური სიმდიდრე, რომელიც მოცემულია აღნიშნულ წიგნში. ამისათვის მთელი ტომები იქნებოდა საჭირო. აქ ჩვენ უფრო პატარა ამოცანას ვისახავთ — შევადგინოთ მოკლე კონსპექტი, რომელიც საშუალებას მოგვცემს მივიღოთ საერთო წარმოდგენა ამ გენიალურ წიგნზე და რომელიც რამდენადმე გაუადვილებს აქტივს მის შესწავლას.

სანამ წიგნის შინაარსზე გადავიდოდეთ, შევნიშნავთ: ხსენებული წიგნი უდაოდ მოწმობს, რომ სტალინი იყო ლენინის არა მარტო მოწაფე, არამედ საიმედო თანამებრძოლიც პროლეტარული რევოლუციის თეორიის და პრაქტიკის ყველა საკითხში.

კრებული იწყება 1912 წ. დამლევს დაწერილი დიდი სტატიით, რომელიც წარმოადგენს პასუხს ყველა ჯურის ოპორტუნისტებისადმი, როგორც რუსეთში (მენშევიკები, ბუნდი), ისე საზღვარ-გარეთ (მეორე ინტერნაციონალის პარტიები). იგი დაწერილია ლენინის დავალებით რ.ს.დ.მ.პ.-ის მთელი ბოლშევიკური ფრაქციის სახელით და სავსებით და მთლიანად მოწონებული იყო ლენინის მიერ. შეიძლება გაუზვიადებლად ითქვას, რომ ეს ნაშრომი წარმოადგენს ნაციონალური საკითხის პირველ სისტემატიურ მარქსისტულ ანალიზს ნაციონალური საკითხის საერთო - თეორიული საფუძვლების უღრმესი ანალიზი იშლება ცოცხალ აქტუალურ ისტორიულ მასალაზე, შეიცავს მარქსიზმის შემდგომ განვითარებას ამ დარგში და მის საფუძველზე გენიალურ პრაქტიკულ დასკვნებს როგორც იმდროინდელი (1912-1913 წ.წ.) ისტორიული სიტუაციისათვის, ისე განვითარების შემდგომი „ხოვრების აერთოობას.

ხაზგასმით აღნიშნავს რა დასაწყისშივე კლასობრივი საზოგადოების ყველა სოციალური პრობლემის ანალიზის ძირითად პრინციპს — კლასობრივ მიდგომას („ინტერნაციონალიზმის ნაცადი იარაღი — კლასობრივი ბრძოლის ერთიანობა და განუყოფლობა" (გვ. 3), ავტორი გადადის ძირითადი პრობლემების დიალექტიკურ-მატერიალისტურ ანალიზზე და დაუზოგავად ამხილებს ყოველ ნაბიჯზე უბადრუკ იდეალისტურ ცდებს მეორე ინტერნაციონალის გმირების — ბაუერის და შპრინგერის მხრივ, რომელთაც ერის განმსაზღვრელ ნიშნად მიაჩნიათ ეროვნული ხასიათი და არა სოციალურ - ისტორიული, ეკონომიური პირობები. „... რა არის ნაციონალური ხასიათი, თუ არ ცხოვრების პირობების ანარეკლი, თუ არ გარემოდან მიღებული შთაბეჭდილებათა შენაერთი, (сгусток) როგორ შეიძლება დავჩერდეთ მარტო ერთ ეროვნულ ხასიათს და განვაცალკევოთ და მოვწყვიტოთ იგი მის წარმომშობ ნიადაგს? რითღა განსხვავდება მაშინ ბაუერის ერი სპირიტუალისტების მისტიკური და თვითკმარი „ეროვნული" სულისაგან?.. ბაუერის თვალსაზრისი, რომელიც ერს ეროვნულ ხასიათთან აიგივებს, ერს სწყვეტს ნიადაგიდან და აქცევს მას რაღაც უხილავ, თვითკმარ ძალად. ვღებულობთ არა ერს, ცოცხალს და მომქმედს, არამედ რაღაც მისტიკურს, უხილავს და საიქიოსებურს" (სტალინი, გვ. 8—9).

თავისთავად იგულისხმება, რომ იდეალიზმის ეს გამანადგურებელი კრიტიკა დიალექტიკური მატერიალიზმის პოზიციიდან წარმოებს. ამიტომ დაუზოგავია აგრეთვე ვულგალური მატერიალიზმის, ბიოლოგიზმის ელემენტების კრიტიკა, რომლებიც უხვად მოეპოვება ბაუერს და მის კომპანიას მეორე ინტერნაციონალიდან. „ბაუერი... ერთმანეთში ურევს ერს, რომელიც ისტორიულ კატეგორიას წარმოადგენს და ტომს რომელიც ეთნოგრაფიულ კატეგორიას წარმოადგენს" (გვ. 9).

ერის კლასიკური განსაზღვრა, მოცემული ამხ. სტალინის მიერ ამ ნაშრომში, უკვე დიდიხანია შევიდა მარქსიზმ-ლენინიზმის ურყევ დებულებათა არსენალში.

ავტორი აწესებს ერის ყველასათვის ცნობილ ოთხ ძირითად ნიშანს, რომლებიც მხოლოდ თავის ერთობლიობაში, თავის ერთიანობაში ქმნიან ერს. მაგრამ, ხაზს უსვამს რა მათ განუწყვეტელ დიალექტიკურ ერთიანობას, ავტორი არ ივიწყებს ხაზი გაუსვას ძირითად განმსაზღვრავ ნიშნებს — ტერიტორიის და ეკონომიური ცხოვრების საერთოობას.

ანვითარებს რა მატერიალისტური დიალექტიკის პრინციპებს, ავტორი ხაზს უსვამს ერის, ისე როგორც ყოველი სხვა სოციალური კატეგორიის, ისტორიულობას" ერი არის ადამიანთა არა რასობრივი და არა ტომობრივი, არამედ ისტორიულად ჩამოყალიბებული საერთოობა" (გვ. 5).

მაშასადამე, ერის ჩამოყალიბების საფუძველი უნდა ვეძებოთ არა ბუნებრივ, არამედ სოციალურ - ისტორიულ პირობებში". „ერი წარმოადგენს არა უბრალოდ ისტორიულ კატეგორიას, არამედ განსაზღვრული ეპოქის, აღმავალი კაპიტალიზმის ეპოქის ისტორიულ კატეგორიას. ფეოდალიზმის ლიკვიდაციის და კაპიტალიზმის განვითარების პროცესი წარმოადგენს ამავე დროს ადამიანების ერებად ჩამოყალიბების პროცესს" (გვ. 10).

მაგრამ ამ საერთო კანონს აქვს გამოხატულების თავისებური ფორმები სხვადასხვა კონკრეტულ - ისტორიული პირობების მიხედვით. „რამდენადმე სხვანაირად ხდებოდა საქმე აღმოსავლეთ ევროპაში. მაშინ, როცა დასავლეთში ერები დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ვითარდებიან, აღმოსავლეთში შეიქმნა ეროვნებათაშორისო სახელმწიფოები. რამოდენიმე ეროვნებისაგან შემდგარი სახელმწიფოები... სახელმწიფოების წარმოშობის ამ თავისებურ გზას შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა მხოლოდ ჯერ კიდევ არალიკვიდირებული ფეოდალიზმის პირობებში, როცა უკანა რიგში დაწეულმა ეროვნებებმა ჯერ კიდევ ვერ მოასწრეს ეკონომიურად მთლიან ერებათ კონსოლიდირება" (გვ. 10—11).

აქედან ცხადი უნდა იყოს, რომ ეროვნული საკითხის შინაარსი არ შეიძლება იყოს მუდმივი, ერთხელ და სამუდამოდ მოცემული. „... ერი, ისე როგორც ყოველი ისტორიული მოვლენა, ექვემდებარება ცვალებადობის კანონს, მას აქვს თავისი ისტორია, დასაწყისი და ბოლო" (გვ. 6).

როგორია ეროვნულ - განმანთავისუფლებელი მოძრაობის შინაარსი ბურჟუაზიული დემოკრატიის პერიოდში? „ბურჟუაზია მთავარი მომქმედი პირია. ახალგაზრდა ბურჟუაზიისათვის ძირითადი საკითხია ბაზარი. გაასაღოს თავისი საქონელი და გამარჯვებული გამოვიდეს სხვა ეროვნების ბურჟუაზიასთან კონკურენციაში — ასეთია მისი მიზანი..." (გვ. 11).

მაგრამ გაბატონებული ერის ბურჟუაზიას ყველა უპირატესობა გააჩნია, ვინაიდან მის მხარეზეა სახელმწიფოებრივი ხელისუფლება, მმართველი ბიუროკრატია. სხვა ერის ბურჟუაზიის შეზღუდვა და რეპრესიები მის წინააღმდეგ გადადის პოლიტიკის და კულტურის სფეროშიც, პოლიტიკურ უფლებათა შეზღუდვის, ენის ზნეჩვეულებების და სხვ. შევიწროების აზრით (იხ. გვ. 11). ეს გარემოება ჩაგრული ერის ბურჟუაზიას საშუალებას აძლევს ჩააბას მოძრაობაში მოსახლეობის სხვა ფენებიც. „ჩაგრული ერის ყოველმხრივ შევიწროებული ბურჟუაზია ბუნებრივად მოდის მოძრაობაში. იგი მიმართავს „მშობლიურ ქვედა ფენებს" და იწყებს ყვირილს „სამშობლოს" შესახებ, ასაღებს რა თავის საკუთარ საქმეს საერთო-სახალხო საქმედ. იგი თავისთვის აგროვებს არმიას „თანამემამულეებისაგან"... სამშობლოს ინტერესებისათვის. და „ქვედა ფენები" მოწოდებებს ყოველთვის გულგრილად არ ეკიდებიან და თავს იყრიან მისი დროშის ირგვლივ. რეპრესიები ზემოდან მათაც ხვდება და უკმაყოფილებას იწვევს მათში... ეროვნული მოძრაობის ძალა განიზომება მასში ერის ფართო ფენების, პროლეტარიატის და გლეხობის მონაწილეობის რაოდენობით" (გვ. 12).

როგორღა უნდა ეპყრობოდეს პროლეტარიატის პარტია ეროვნულ - განმანთავისუფლებელ მოძრაობას? მხოლოდ მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის რევოლუციურ დიალექტიკას შეუძლია მოგვცეს სწორი პასუხი და თავიდან აგვაცდინოს როგორც მემარჯვენე, ისე „მემარცხენე" გადახრა ამ საკითხში. ფორმალური თვალსაზრისით რევოლუციურ პროლეტარიატს მხარი არ უნდა დაეჭირა ეროვნული მოძრაობისათვის, მისი ბურჟუაზიული ხასიათის გამო.

ასე მსჯელობდა, მაგალითად, პოლონეთის სოციალ - დემოკრატების ჯგუფი რ. ლიუქსემბურგის მეთაურობით, რომელმაც გამანადგურებელი პასუხი მიიღო ლენინ-სტალინისაგან. ასე მსჯელობდა, ბოლშევიკების აპრილის კონფერენციაზე 1917 წ. პიატაკოვის ჯგუფი, რომელმაც აგრეთვე გამანადგურებელი პასუხი მიიღო სტალინის საბოლოო სიტყვაში. მეორე, აშკარად მემარჯვენე ჯგუფი აშორებდა რა ნაციონალური მოძრაობის ამოცანებს პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესებს, მოითხოვდა, რომ პროლეტარიატს უთუოდ დაეჭირა მხარი ნაციონალური მოძრაობისათვის (იხ. გვ. 13).

როგორია საკითხის ლენინურ-სტალინური დაყენება? პროლეტარიატმა მხარი უნდა დაუჭიროს ეროვნულ - განმანთავისუფლებელ მოძრაობას, მიუხედავად მისი ბურჟუაზიული ხასიათისა, მაგრამ იმ პირობით, იმ აუცილებელი პირობით, რომ იგი (პროლეტარიატი) კი არ იქნება საშუალება ბურჟუაზიის მიზნის მისაღწევად, არამედ, პირიქით, პროლეტარიატი გამოიყენებს ეროვნულ - განმანთავისუფლებელ მოძრაობას, როგორც საშუალებას თავისი მიზნის მისაღწევად.

მაგრამ რას ნიშნავს ეს? როგორ უნდა იქნას ეს მიღწეული? ცხადია აქ საკითხი ეხება იმას, რომ პროლეტარიატმა თავის რეზერვად გადააქციოს გლეხობის ფართო მასები, რომლებიც ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაში ებმებიან, რისთვისაც უნდა ჩამოაშოროს იგი ბურჟუაზიის გავლენას, განუმარტოს მათ ბურჟუაზიის მიზნები და სხვ. ერთი სიტყვით, საკითხი ეხება პროლეტარიატის ჰეგემონიას. მაშასადამე, პროლეტარიატმა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა უნდა წარმართოს რევოლუციისაკენ, გამოიყენოს იგი როგორც საშუალება რევოლუციისათვის. ეროვნული საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია არსებული წყობილების ფარგლებში.

როგორია ოპორტუნისტ ბაუერ-შპრინგერის თვალსაზრისი? მათი ამოცანა ის არის, რომ ეროვნული მოძრაობა შეუგუონ არსებულ წყობილებას, დამბლა დასცენ მას, გამოაცალონ მას რევოლუციური შინაარსი. ამ მიზნით მათ შექმნეს ეროვნულ - კულტურული ავტონომიის მთელი „თეორია", რომელსაც საკითხი მთლიანად გადააქვს ეკონომიკის და პოლიტიკის სფეროდან კულტურის სფეროში და რომელიც ამგვარად იცავს არსებული წყობილების საფუძვლებს. ბრწყინვალედ ააშკარავებს რა ეროვნულ-კულტურული ავტონომიის თეორიულ უმწეობას (ეს კლასიკური კრიტიკა, მოცემული აღნიშნულ ნაშრომში სხარტად, ზევრჯერ მეორდება კრებულის მთელს მანძილზე, იგი წარმოადგენს მარქსისტული დიალექტიკის გამოყენების და განვითარების ბრწყინვალე ნიმუშს). ამხ. სტალინი ეძლევა მის პოლიტიკურ შეფასებას. „ავსტრიელები (ბაუერი, შპრინგერი და სხვ.—კ. შ.) ფიქრობენ „ეროვნებათა თავისუფლება" განახორციელონ პატარა რეფორმების გზით.

მოითხოვენ რა ეროვნულ ავტონომიას, როგორც პრაქტიკულ ზომას, ისინი სრულიადაც არ ამყარებენ იმედს ძირეულ ცვლილებაზე, დემოკრატიულ განმანთავისუფლებელ მოძრაობაზე, რომელიც მათ პერსპექტივაში არა აქვთ. ამავე დროს კი რუსეთის მარქსისტები (ე. ი.ბოლშევიკები— კ. შ.) „ეროვნებათა თავისუფლების" საკითხს უკავშირებენ შესაძლებელ ძირეულ ცვლილებას, დემოკრატიულ - განმანთავისუფლებელ მოძრაობას, ვინაიდან მათ საფუძველი არა აქვთ რეფორმების იმედი იქონიონ" (გვ. 18—19). ბაუერ-შპრინგერის თეზისს ეროვნულ კულტურული ავტონომიის შესახებ, რომელიც უეჭველად მისაღები და ძალიან გამოსადეგია ბურჟუაზიისათვის, სტალინი უპირდაპირებს მარქსისტულ ლენინურ თეზისს ერის თვითგამორკვევის უფლების შესახებ — არა მარტო სულიერი კულტურის სფეროში, არამედ სამეურნეო-პოლიტიკური მხრივაც, აყენებს კულტურული ავტონომიის მაგივრად საოლქო ავტონომიას. „თვითგამორკვევის უფლება, ე. ი. ერს შეუძლია მოეწყოს თავისი სურვილისამებრ, მას უფლება აქვს მოაწყოს თავისი ცხოვრება ავტონომიის საფუძველზე, მას უფლება აქვს ფედერატიულად დაუკავშირდეს სხვა ერებს, მას უფლება აქვს სრულიად გამოიყოს. ერი სუვერენულია და ყველა ერი თანასწორუფლებიანია" (გვ. 19).

ცხადია, თვითგამორკვევის უფლება არ ნიშნავს იმას, რომ გამოყოფა სავალდებულოა. ამას ამხ. სტალინი მრავალჯერ ხაზს უსვამს ყოველგვარი ფორმალისტების დაბნეული ელემენტების და უკლონისტების წინააღმდეგ. მაგრამ აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, თუ როგორ გენიალურად ანსხვავებს ამხ. სტალინი ერის უფლებას და რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის მოვალეობას (იგულისხმება ბოლშევიკური პარტია).

ეროვნული მოძრაობა ყოველთვის როდია პროგრესიული, მით უფრო არა ყოველთვისაა პროგრესიული ერის მოთხოვნები, რომელთა წამოყენების უფლება მას აქვს, ვინაიდან ერი სხვადასხვა კლასისაგან შესდგება. რევოლუციური სოციალისტი (კომუნისტი), არ უარყოფს რა ამ უფლებას, მიუხედავად ამისა ვალდებულია გასწიოს აგიტაცია ერის ამ მოთხოვნების წინააღმდეგ. ამაშია მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის რევოლუციური დიალექტიკის უღრმესი აზრი.

„ერს უფლება აქვს დაუბრუნდეს ძველ წესწყობილებასაც კი, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ სოციალ - დემოკრატია ხელს მოაწერს მოცემული ერის ამა თუ იმ დაწესებულების ასეთ დადგენილებაზე. მოვალეობანი სოციალ - დემოკრატიისა, რომელიც პროლეტარიატის ინტერესებს იცავს, და უფლებები ერისა, რომელიც სხვადსხვა კლასიდან შედგება — სხვადასხვა რამეა". მატერიალისტური დიალექტიკის ეს კლასიკური ნიმუში ეროვნულ საკითხში შუქდება ასეთივე ღრმესი დიალექტიკით მეორე, ფრიად მნიშვნელოვანი საკითხის — რელიგიასთან მუშათა კლასის დამოკიდებულების საკითხის დარგში". სოციალ - დემოკრატია ყოველთვის განაცხადებს პროტესტს კატოლიციზმის და პროტესტანტიზმის დევნის წინააღმდეგ, იგი ყოველთვის დაიცავს ერების უფლებას აღიარონ ყოველგვარი რელიგია, მაგრამ ამავე დროს იგი, გამოდის რა პროლეტარიატის სწორად გაგებული ინტერესებიდან, გასწევს აგიტაციას კატოლიციზმის წინააღმდეგაც, პროტესტანტიზმის წინააღმდეგაც, მართლმადიდებლობის წინააღმდეგაც, რათა გამარჯვება არგუნოს სოციალისტურ მსოფლმხედველობას.

... ესევე შეიძლება ითქვას ეროვნული თვითგამორკვევის შესახებ. ერებს უფლება აქვთ მოეწყონ თავისი სურვილისამებრ, მათ უფლება აქვთ შეინარჩუნონ ყოველგვარი თავისი ეროვნული დაწესებულება, მავნეც და სასარგებლოც. არავის არ შეუძლია (არა აქვს უფლება!) ძალდატანებით ჩაერიოს ერის ცხოვრებაში. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ სოციალ - დემოკრატია არ იბრძოლებს, არ გასწევს აგიტაციას ერის მავნე დაწესებულებათა წინააღმდეგ, ერის მიზანშეუწონელ მოთხოვნათა წინააღმდეგ. პირიქით, სოციალ - დემოკრატია ვალდებულია გასწიოს ასეთი აგიტაცია და გავლენა მოახდინოს ერების ნებისყოფაზე, რომ ერები მოეწყონ ისეთ ფორმაში, რომელიც ყველაზე უფრო შეეფერება პროლეტარიატის ინტერესებს (კრ. 39).

როგორც აღინიშნა, უკვე ამ ნაშრომში, რომელიც დანიშნული იყო მეორე ინტერნაციონალის ოპორტუნისტების და რუსეთში მათი სახეობათა თეორიული განადგურებისათვის, სტალინმა დასახა ძირითადი პრაქტიკული დასკვნები (რუსეთის კონკრეტულ-ისტორიული პირობების საფუძველზე), რომლებიც შემდეგში გაიშალა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ეროვნულ - სახელმწიფოებრივი მშენებლობის გრანდიოზულ სისტემად. ამ კლასიკური ნაშრომის თვითეული თეზისი, რომელიც მთელ სოფლმხედველობას შეიცავს, შემდგომ ნაშრომებში თანამიმდევრულ განვითარებას ღებულობს, და ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ კრებულის შემადგენელი ნაწილები სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ისტორიულ ვითარებაში იწერებოდა, მთელი წიგნი წარმოადგენს ისეთ მონოლიტურ ერთიანობას, რომ 1912 წელს დაწერილი ნაშრომი საერთო შესავალი თავია იმ ნაშრომებისა, რომლებიც ეკუთვნის 1917—1934 წლების პერიოდს.

კრებულში შემდეგ მოთავსებულია მოხსენება და საბოლოო სიტყვა ბოლშევიკების 1917 წ. აპრილის კონფერენციაზე.

სტალინის მიერ უკვე 1912 წელს ზემოაღნიშნულ ნაშრომში გენიალურად განვითარებული ზოგადი პრინციპების მოკლედ აღნიშვნასთან ერთად, აქ მოცემულია დროებითი მთავრობის ეროვნული პოლიტიკის გამანადგურებელი კრიტიკა. თუ ჯერ კიდევ სტატიაში „მარქსიზმი და ეროვნული საკითხი" სტალინი განსაკუთრებით ხაზს უსვამდა ბურჟუაზიული წყობილების ჩარჩოებში ეროვნული საკითხის გადაწყვეტის შეუძლებლობას, აქ ეს აზრი ნათელყოფილია რუსეთის 1917 წ. თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუციის პრაქტიკით.

უკვე იმავე ნაშრომში 1912 წელს ამხ. სტალინი გენიალური გამჭრიახობით ხედავდა ეროვნული საკითხის გამწვავების უმჭიდროეს კავშირს იმპერიალიზმის ზრდასთან (გვ. 41—42). აქ ეს აზრი განსაკუთრებით ხაზზგასმულია და უმაღლეს საფეხურზეა აყვანილი. „ან ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენ აუცილებლად უნდა შევქმნათ ზურგი სოციალისტური რევოლუციის ავანგარდისათვის იმ ხალხთა სახით, რომლებიც ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ მხედრდებიან — და მაშინ ჩვენ ხიდს ვაგებთ დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, ან ჩვენ ამას არ ჩავდივართ და მაშინ აღმოვჩნდებით იზოლირებული, მაშინ ჩვენ უარს ვამბობთ იმპერიალიზმის მოსასპობად ჩაგრულ ეროვნებათა ყოველგვარი რევოლუციური მოძრაობის გამოყენების ტაქტიკაზე" (გვ. 50).

ეროვნული საკითხის უდიდესი თეორეტიკოსი კლასიკური სიცხადით არკვევს ეროვნული საკითხის გადაზრდას ეროვნულ-კოლონიალურ საკითხში.

შემდეგ მისდევს სტატია „ოქტომბრის გადატრიალება და ეროვნული საკითხი" (1918). სტატიის პირველ ნაწილში გენიალურადაა გაშუქებული 1917 წ. თებერვლის რევოლუციის რაობა. ბურჟუაზია ამ რევოლუციაში გამოდიოდა ფეოდალური ბორკილების მოსპობის და რუსეთში იმპერიალიზმის თავისუფალი განვითარების ინტერესებიდან. მის ანგარიშში სრულიადაც არ შედიოდა ეროვნული ჩაგვრის მოსპობა. პირიქით, იმპერიალიზმის რაობა იმაშია, რომ იგი, ამწვავებს რა კაპიტალიზმის ყველა წინააღმდეგობას, მათ რიცხვში უაღრესად ამწვავებს ეროვნულ წინააღმდეგობებსაც. „... მხედველობიდან უშვებდენ, რომ ცარიზმის მაგივრად მოდის გაშიშვლებული, ნიღაბს მოკლებული, იმპერიალიზმი, რომ იგი, ეს იმპერიალიზმი, წარმოადგენს ეროვნებათა უფრო ძლიერ და უფრო საშიშ მტერს, ახალი ეროვნული ჩაგვრის საფუძველს" (კრ. გვ. 51). დროებითი მთავრობის ეროვნული პოლიტიკის კონკრეტულ მაგალითებზე ავტორი გენიალურად ააშკარავებს ბურჟუაზიული დემოკრატიის რაობას და ერთხელ კიდევ განსაკუთრებული დაჟინებით და კლასიკური სიცხადით ხაზს უსვამს ეროვნული საკითხის განუწყვეტელ კავშირს ამათუ იმ კლასის ხელისუფლების საკითხთან. აქედან წარმოსდგება აუცილებლობა ეროვნული საკითხის დაქვემდებარებისა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესებისათვის.

სტატიის მეორე ნაწილი ოქტომბრის რევოლუციის მაგალითზე გვიჩვენებს, რომ მხოლოდ სოციალისტურ რევოლუციას შეუძლია გადაწყვიტოს ეროვნული საკითხი.

ამავე დროს გენიალურად არის გაშუქებული რაობა „ეროვნული მთავრობებისა", რომლებიც გააფთრებით იბრძოდნენ ნორჩი სოციალისტური რესპუბლიკის წინააღმდეგ.

„ამჟამად განაპირა მხარეების „მთავრობათა" ბრძოლას გვიხატავენ როგორც ბრძოლას ეროვნული განთავისუფლებისათვის საბჭოთა ხელისუფლების „უსულგულო ცენტრალიზმის" წინააღმდეგ. მაგრამ ეს მართალი არ არის. არცერთი ხელისუფლება მსოფლიოში არ უშვებდა ისეთ ფართო დეცენტრალიზმს, არც ერთი მთავრობა მსოფლიოში არ ანიჭებს ხალხებს ისეთ სრულ ეროვნულ თავისუფლებას, როგორც საბჭოთა ხელისუფლება რუსეთში. განაპირა მხარეების „მთავრობათა" ბრძოლა იყო და არის ბურჟუაზიული კონტრრევოლუციის ბრძოლა სოციალიზმის წინააღმდეგ" (გვ. 54).

მაგრამ ეროვნული ბურჟუაზიის ამ ბრძოლას სოციალიზმის წინააღმდეგ მხარს ვერ დაუჭერდენ განაპირა მხარეების მუშები და გლეხები, რომელთაც საკუთარი მწვავე გამოცდილებით განიცადეს ეროვნულ ბურჟუაზიულ „მთავრობათა" ბატონობის ყველა სიმწვენიერე. ისინი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებისაგან მოელოდენ განთავისუფლებას. „ასე შეიქმნა მთელი რუსეთის მუშათა და გლეხთა სოციალისტური კავშირი რუსეთის განაპირა მხარეების ეროვნულ-ბურჟუაზიულ „მთავრობათა" კონტრრევოლუციური კავშირის წინააღმდეგ" (54)". ასე იქნა მხილებული და თითონ რევოლუციის მსვლელობით უკუგდებული თვითგამორკვევის პრინციპის ძველი ბურჟუაზიის გაგება ლოზუნგით — „მთელი ხელისუფლება ეროვნულ ბურჟუაზიას". თვითგამორკვევის სოციალისტურმა გაგებამ ლოზუნგით: „მთელი ხელისუფლება ჩაგრულ ეროვნებათა მშრომელ მასებს" მოიპოვა ყველა უფლება და გამოყენების შესაძლებლობანი" (გვ. 55).

სტატიის მესამე ნაწილი არკვევს ოქტომბრის გადატრიალების მსოფლიო მნიშვნელობის საკითხს. მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენლების — კაუცკის, ბაუერის, რენერის გამანადგურებელ კრიტიკასთან ერთად, რამოდენიმე შტრიხით კლასიკური სიცხადით არის გარჩეული საკითხები ეროვნული საკითხის გადაზრდისა „ეროვნული ჩაგვრის კერძო საკითხიდან... ერონებათა, კოლონიებისა და ნახევრად კოლონიების იმპერიალიზმისაგან განთავისუფლების ზოგად საკითხში", „ეროვნული საკითხის განუწყვეტელი კავშირისა ხელისუფლების საკითხთან", ეროვნული საკითხის მოქცევისა „კულტურულ - საგანმანათლებლო საკითხების ჩარჩოებში, ისეთი „წვრილმანების" არსებობის დავიწყებასთან ერთად, როგორიცაა იმპერიალიზმი და მის მიერ კოლონიების დამონება" (გვ. 56).

შემდეგ მიყვება სტატია „საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა ეროვნული საკითხის მიმართ რუსეთში" (1920 წ.). აქ უკვე კონკრეტულად არის დასმული მრავალერიანი რუსეთის სახელმწიფო მშენებლობის ხასიათის საკითხი. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ეროვნული საკითხის უდიდესი თეორეტიკოსი ამხ. სტალინი არის საბჭოთა რესპუბლიკების დიადი კავშირის იმ გრანდიოზული სტრუქტურის ავტორი, რომლის პროტოტიპი წარსულში არ მოიპოვება და რომელმაც ისტორიაში პირველად გადაწყვიტა ეროვნულ - სახელმწიფოებრივი მშენებლობის საკითხი. გვერდს უვლით რა ახლა ამ შინაარსით უმდიდრესი ნაშრომის დაწვრილებით გადმოცემას, შევჩერდებით მხოლოდ სამ საკითხზე:

1. განაპირა მხარეებთან ცენტრალური რუსეთის ურთიერთობის საკითხი.

„თუ მართალია დებულება, რომ უფრო განვითარებულ პროლეტარულ დასავლეთს არ შეუძლია სავსებით ბოლო მოუღოს მსოფლიო ბურჟუაზიას ნაკლებად განვითარებული მაგრამ, ნედლეულით და სათბობით მდიდარი გლეხური აღმოსავლეთის დაუხმარელად, ასევე მართალია მეორე დებულება, რომ უფრო განვითარებულ ცენტრალურ რუსეთს არ შეუძლია ბოლომდის მიიყვანოს რევოლუციის საქმე რუსეთის ნაკლებად განვითარებული, მაგრამ საჭირო რესურსებით მდიდარი განაპირა მხარეების დაუხმარებლად.

აქედან წარმოდგება აუცილებლობა, რომ რუსეთის ცენტრსა და განაპირა მხარეებს შორის დამყარდეს განსაზღვრული ურთიერთობა, განსაზღვრული დამოკიდებულება, რომელიც უზრუნველყოფს მათ შორის მჭიდრო, დაურღვეველ კავშირს (58). მაგრამ თუ ცენტრალური რუსეთის პროლეტარიატს ესაჭიროება განაპირა მხარეების დახმარება, განაპირა მხარეების მშრომელებს არანაკლებ ესაჭიროებათ ცენტრალური რუსეთის დახმარება: „ან რუსეთთან ერთად და მაშინ — განაპირა მხარეების მშრომელი მასების განთავისუფლება იმპერიალისტური ჩაგვრისაგან, ან ანტან-

საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა დამუშავების გეგმა პარტგანათლების ქსელისათვის

პირველი თემა: მარცვლეულის და ხორცის ჩაბარების გეგმის შესრულების შესახებ.

ძირითადი საკითხები: 1. საგაზაფხულო თესვის გეგმის შესრულება და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ხარისხი.

2. ყველა პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციის ამოცანა მოსავლის აღების ორგანიზებულად ჩატარების და დანაკარგებთან ბრძოლის საქმეში.

3. პლენუმის გადაწყვეტილება მარცვლეულის და პურის ჩაბარების შესახებ.

4. პლენუმი ხორცის ჩაბარების გეგმის შესრულების შესახებ და ამ საქმეში ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ამოცანები.

ლიტერატურა

1. სტალინი. მოხსენება საკ. კ.პ. (ბ) მე-17 ყრილობაზე, კარი მე-II პარაგ. 2.
2. ლ. ბერია. სიტყვა საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის მეორე პლენუმზე. (11 ივნისის „კომუნისტი").
3. საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კ-ის პლენუმის რეზოლუცია, მიღებული ამხ. კუიბიშევის, მიქოიანის და კლეინერის მოხსენებათა გამო. (1934 წლის 3 ივლისის „ზარია ვოსტოკა" და „კომუნისტი").
4. საკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის მე-2 პლენუმის რეზოლუცია საგაზაფხულო თესვის შედეგებსა და გათოხნა-დამუშავების, მოსავლის აღების და დამზადების კამპანიების ამოცანების შესახებ (1934 წ. 4 ივნისის „კომუნისტი").
5. 3 ივლისის „პრავდის" მოწინავე წერილი. (1934 წ. 5 ივლისის „კომუნისტი")

მეორე თემა: მეცხოველეობის გაუმჯობესების და განვითარების შესახებ.

ძირითადი საკითხები: 1. ამხ. სტალინი მეცხოველეობის დარგში არსებულ დეფექტებისა და უახლოეს ამოცანების შესახებ.

2. საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვება სოფლად, მეცხოველეობის მსხვილი საბჭოთა მეურნეობების განვითარება. საკოლმეურნეო ფერმები და დახმარება სახელმწიფოს მხრივ.

3. საკ. კ.პ. (ბ) ცენ. კ-ის პლენუმი მეცხოველეობის უსწრაფესი აღმავლობის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

4. პლენუმის გადაწყვეტილება. პირუტყვის ჯიშის შესახებ, მათი ვეტერინარული და ზოოტექნიკური მომსახურების და საკვები ბაზის გაფართოების შესახებ.

5. პლენუმის გადაწყვეტილება იმ შეღავათების შესახებ, რომლებიც ხელს უწყობენ საკოლმეურნეო მეცხოველეობის განვითარებას.

6. ა.-კ. სამხარეო კომიტეტის მეორე პლენუმი ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკაში და, კერძოდ საქართველოში, მეცხოველეობას განვითარების ღონისძიებათა შესახებ.

ლიტერატურა.

1. სტალინი. მოხსენება საკ. კ.პ. (ბ) მე-17 ყრილობაზე, კარი მე-2, პარაგ. 2.
2. ლ. ბერია სიტყვა ა.-კ. სამხარეო კომიტეტის მე-2 პლენუმზე (1934 წ. 11 ივნისის „კომუნისტი").
3. საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის რეზოლუცია, მიღებული ამხ. ჩერნოვის და კალმანოვიჩის მოხსენებათა გამო. მეცხოველეობის გაუმჯობესების და განვითარების შესახებ. (1934 წ. 3 ივლისის „კომუნისტი").
4. ა.-კ. სამხარეო კომიტეტის პლენუმის რეზოლუცია. ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკაში მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ (1934 წ. 8 ივნისის „კომუნისტი").
5. 3 ივლისის „პრავდას" მოწინავე (1934 წ. 5 ივლისის „კომუნისტი").

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის კულტ. და ლენინიზმის პროპაგანდის განყოფილება.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მეორე საკავშირო კონკურსისა 1934 წლის მარცვლეულის აღების კამპანიის დროს კომბაინების, სალეწი მანქანების, ტრაქტორების და ავტომანქანების უკეთ გამოყენებისათვის

კონკურსი თავის ამოცანად ისახავს მასობრივი პოლიტიკური მუშაობის საფუძველზე ჩააბას საბჭოთა მეურნეობების და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ყველა კომბაინერი, მესაჭე, ტრაქტორისტი, მემანქანე, შოფერი, სოციალისტურ შეჯიბრებაში მოსავლის აღების კამპანიის დროს მანქანების უკეთ გამოყენებისათვის.

კონკურსის მაჩვენებლები:

კონკურსში პირველობა მოენიჭება იმ კომბაინერს, მესაჭეს, ტრაქტორისტს, მემანქანეს და შოფერს, რომლებიც მუშაობაში უზრუნველყოფენ შემდეგ მაჩვენებლებს:

1. მანქანის ყველა მექანიზმის მთლიანად მოვლება, კომბაინის, სალეწი მანქანის, ტრაქტორის და ავტო-მანქანის ტექნიკური მოვლის ყველა იმ არსებული წესის შესრულება, რომლებიც უზრუნველყოფენ მექანიზმების დაცვას ნაადრევად გაცვეთისა, გატეხისა და ავარიებისაგან.

2. ნაყოფიერების დაწესებული ნორმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება, ამასთანავე დანაკარგებთან ბრძოლის ისეთი წესების ზუსტად გამოყენება, როგორიცაა: კომბაინის უხარვეზოდ მუშაობა, სარეველა ბალახების თესლმჭერების და მარცვლეულის დაცვენის ყველა ადგილზე აურეულის მარცვალმჭერების მოწყობა, ცხენის ფოცხების მიბმა კომბაინის ხედერზე დაცვენილი თავთავების ასაკრეფად, სალეწ მანქანაზე დანაკარგების — მარცვლის ამოცვენის, დახნევის, დასრესის, ნამჯაში მარცვლის დატოვების — თავიდან აცილება.

3. მარცვლეულის გატანის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება და გადაზიდვის დროს მარცვლეულის დანაკარგების სავსებით აღმოფხვრა.

4. საწვავი და საცხები მასალის ეკონომია, აგრეთვე შინების და კამერების ეკონომია ხარჯვის დაწესებულ ნორმებთან შედარებით.

5. ხანძრის საწინააღმდეგო ყველა წესის და უშიშროების ტექნიკის წესების დაცვა.

6. მოსავლის აღების დამთავრების შემდეგ აგრეგატის ან მანქანის ჩაბარება ვარგის მდგომარეობაში მთელი მექანიზმებით, დეტალებით და მოწყობილობით, რათა არ დასჭირდეს ნორმებით დაწესებულზე მეტი შეკეთება.

7. საკონკურსო ვალდებულებათა შესრულებას აღრიცხავენ საბჭოთა მეურნეობების და სამ.-სატრ. სადგურების საკონკურსო კომისიები.

8. კონკურსის მასალა დასაჯილდოებელი კანდიდატების შესარჩევად განხილულ უნდა იქნას საბჭოთა მეურნეობების და სამ.-სატრ. სადგურების საწარმოო თათბირებზე. დაჯილდოების წესი შემდეგია:

ა) საბჭოთა მეურნეობაში და სამ.-სატრ. სადგურში ჯილდო ეძლევათ იმ კომბაინერებს, მესაჭეებს, ტრაქტორისტებს, მემანქანეებს და შოფერებს, რომლებმაც მოიპოვეს პირველობა საბჭოთა მეურნეობაში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურში.

ბ) რესპუბლიკაში ჯილდო ეძლევა იმ კომბაინერებს, მესაჭეებს, ტრაქტორისტებს, მემანქანეებს და შოფერებს, რომლებიც მიიღებენ პირველობას რესპუბლიკის მასშტაბით.

ცენტრალური საკონკურსო კომისია აჯილდოებს ადგილობრივი საკონკურსო კომისიების მიერ წარმოდგენილთაგან 20 საუკეთესო კაცს, როგორც რესპუბლიკაში პირველობის ამღებთ.

9. ადგილობრივი საკონკურსო კომისიები უდგენენ ცენტრალურ საკონკურსო კომისიას მასალებს კომბაინერების, ტრაქტორისტების, კომბაინზე მომუშავე მესაჭეების და შოფერების, აგრეთვე მარცვლეულის გადაზიდვაზე მომუშავე შოფერების დასაჯილდოებლად — არა უგვიანეს 25 აგვისტოსა, ხოლო სალეწ აგრეგატებზე მომუშავე მემანქანეების, ტრაქტორისტების დასაჯილდოებლად — საბჭოთა მეურნეობასა და სამ. სატრ. სადგურში ლეწვის დამთავრების შემდეგ.

საქონელბრუნვა

20 ათასის მაგიერ 60 ათასი მანეთის საქონელი

(აბაშის რაიონი)

ახალ-აბაშის სოფ. კოოპერატივი (გამგეობის თავ-რე **ბესარიონ ჟვანია**) 2.700 წევრს აერთიანებს. 4 სავაჭრო წერტი აქვს. სავაჭრო წერტი აქოს. მის საბრუნავ თანხას 43.604 მანეთი შეადგენს.

მე17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა სწორად გატარებით ახალ-აბაშის კოოპერატივმა ზოგიერთ წარმატებას მიაღწია. პირველი და მეორე კვარტალის სავაჭრო-საფინანსო გეგმა ვადამდე გადაჭარბებით შესრულდა.

მეორე კვარტალში კოოპერატივს 142 ათასი მანეთის საქონელი უნდა გაესაღებია, ფაქტიურად კი 164.448 მან. საქონელი გასაღა, (გეგმის 115 პროც.).

საქონელბრუნვის დარგში წინ არიან მაღაზიები № 1, 2 და 4 კერძოდ მაღაზია № 1-მა (გამგე ივანე ჩაგანავა) მეორე კვარტალში საქონელბრუნვის გეგმა 139 პროც. შესრულა, მაღაზია № 4-მა (გამგე შალიკო იოსავა) — 121 პროც., მაღაზია № 2 (გამგე აპოლონ კაჭარავა) —110 პროც.

ასეთ მიღწევებს ვერ დაიკვეხებს მაღაზია № 3 (გამგე თ. ჭანტურია). ის სამარცხვინოდ ჩამორჩა და მეორე კვარტალის საქონლის ბრუნვის გეგმა 25 ივნისისათვის მხოლოდ 56 პროც. შეასრულა.

ახალაბაშის კოოპერატივმა წარმატებით შეასრულა აგრეთვე საპაიო თანხის შეგროვებისა და დამზადების გეგმები: საპაიო თანხის გეგმა შესრულებულია 119 პროც., კვერცხის დამზადების—200 პროც., ჩამორჩენა აქვს ყველის დამზადებაში და ახალ წევრთა მიღებაში. მაგალითად: ყველის დამზადების გეგმა მეორე კვარტალში 87 პროცენტით არის შესრულებული, ახალ წევრთა მიღების გეგმა კი —40 პროცენტით.

სავაჭრო წერტებსა და დახლის მუშაკებს შორის გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება. მაღაზიებში სამაგალითო სისუფთავეა. საქონელი ასორტიმენტის მიხედვით არის დალაგებული. ყველა მაღაზიას აქვს მოთხოვნის წიგნები, რის საშუალებითაც მომხმარებელი მაღაზიას ამა თუ იმ საქონელს უკვეთავს. საჩივრის წიგნი, ყუთი და პრეისკურანტი თვალსაჩინო ადგილზეა.

საგაზაფხულო თესვის კამპანიასთან დაკავშირებით კოოპერატივმა საშეფოდ აიყვანა **საკაჭარაოს** და დიდი-კვათანის კოლმეურნეობები, გამოყო კოოპ. ბრიგადა და კულტ-მომსახურების გასაწევად საშეფო კოლმეურნეობებს მიამაგრა. გამოუწერა აგრეთვე ჟურნალ-გაზეთები. **საგაზაფხულო თესვის კამპანიასთან დაკავშირებით გეგმით გათვალისწინებულ 20 ათასი მანეთის საქონლის ნაცვლად შემოზიდა 60 ათასი მანეთის ფართო მოხმარების საქონელი.**

ახალ-აბაშის სასოფლო კოოპ. უნდა შეინარჩუნოს მიღწეული წარმატებანი მესამე კვარტალშიც. უახლოეს ხანში უნდა აღმოფხვრას არსებული დეფექტები და გადაჭრით მიაღწიოს ახალ წარმატებებს საბჭოთა კულტურული ვაჭრობის გაშლის დარგში.

პრ. გვაზავა.

მოლითის სასოფლო კოოპერატივი სისტემატიურად ზარალს იძლევა

(ხარაგაული. „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

მოლითის სას. კოოპერატივს სამი სავაჭრო განყოფილება აქვს, რომელიც აერთიანებს 2020- წევრს. აღნიშნული კოოპერატივი სისტემატიურად ვერ ასრულებს თავის სავაჭრო-საფინანსო გეგმებს. მან 1933 წელი სამარცხვინო გარღვევით დაასრულა. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მდგომარეობა არც შემდგომში გამოსწორებულა და სამარცხვინო ჩამორჩენა 1934 წელშიც გრძელდება.

1934 წლის პირველ კვარტალში საქონელბრუნვის გეგმა გათვალისწინებული იყო 70.000 მანეთით, მაგრამ ფაქტიურად გაასაღეს 22.913 მანეთის საქონელი (გეგმა შესრულებულია მხოლოდ ,32.6 პროცენტით), საპაიო გამოსალები გეგმით უნდა აკრეფილიყო 3.730 მანეთი, ფაქტიურად აკრეფილია 1734 მანეთი, (გეგმა შესრულებულია 46,5 პროც.). ახალი წევრების მიღების გეგმა პირველ კვარტალში შესრულებული იყო მხოლოდ 11 პროც.

კიდევ უფრო დაბალ მაჩვენებლებს იძლევა მეორე კვარტალში გეგმების შესრულების სურათი; მაგალითად, მეორე კვარტალში საქონლის ბრუნვა გეგმით გათვალისწინებული იყო 62.600 მანეთი, ფაქტიურად კი რეალიზებულია 9.411 მანეთის საქონელი (გეგმა შესრულებულია 15 პროც.), საპაიო გამოსალები გეგმით უნდა აკრეფილიყო 3.300 მანეთი, ფაქტიურად აიკრიფა 195 მანეთი (გეგმის 6.2 პროც.), ხოლო ახალი წევრების მიზიდვის გეგმის შესრულება ნოლს უდრის (გეგმით მეორე კვარტ. უნდა მიეღოთ 43 ახალი წევრი, მაგრამ ერთიც არ მიუღიათ.

სავაჭრო-საფინანსო გეგმების ასე სამარცხვინოდ ჩაშლამ კოოპერატივის ფინანსიური მდგომარეობა საგრძნობლად შეასუსტა. მაგალითად, ამ კოოპერატივმა **1933 წელი 7.350 მანეთის ზარალით დაამთავრა, ხოლო მიმდინარე წლის მარტო პირველ კვარტალში ზარალი 12.000 მანეთს უდრის.**

ასეთი სამარცხვინო ჩამორჩენა, ზარალი და სხვ., ამ კოოპერატივში იმის შედეგია, რომ **კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე სევ. ყრუაშვილი მეტად უთავბოლოდ მუშაობს, ყრუაშვილმა სავაჭროებში თავი მოუყარა ყოფ. შავსიელებსა და ვაჭრებს.** აი მაგალითიც: კოოპერატივს მოლითში გახსნილი აქვს სასადილო, რომლის გამგედაც ითვლება ყოფილი შავსიელი **მიხეილ ალხაიშვილი.** ამავე სასადილოში ოფიციანტად მუშაობს ყოფილი მიკიტანი **ნიკო ჩოგოვაძე.** აღნიშნულ პირებს სასადილო გადაქცეული აქვთ თავის საწველ ფურად და ამის გამო ეს სასადილო მოლითის კოოპერატივს ყოველთვიურად **ზარალს** აძლევს. სისტემატიურად არღვევენ ფასებს პროდუქტებზე. მაგ., არაყს ყიდულობენ ბოთლს 8 მანეთად, სასადილოში კი იყიდება 30 მანეთად. სადილის ერთი კერძი აქ ღირს 3 მანეთი, როდესაც კილო ხორცში 5 მანეთს აძლევენ. ბოთლ ღვინოს, შეძენილს 4 მანეთად, ყიდიან 7 მანეთად. **ერთი სიტყვით, ეს სასადილო ნამდვილ სამიკიტნოდაა გადაქცეული.**

ამ სასადილოში არსებული მდგომარეობა კარგად იცის კოოპერატივის თავმჯდომარემ ყრუაშვილმა, მაგრამ ის შემარიგებელ დამოკიდებულებას იჩენს ყოფილ შავსიელებისადმი.

არა მარტო სასადილოში, არამედ თვით კოოპერატივში ყრუაშვილმა ნოქრად მოათავსა ყოფილი ვაჭარი ვინმე **სულაქველიძე.**

ამრიგად მოლითის სასოფლო **კოოპერატივის ქონებას ანიავებენ, ანადგურებენ ყოფილი შავსიელები.** კოოპერატივის გამგეობის თავ-რე კი ამ მდგომარეობას დამშვიდებით უყურებს.

გასაკვირი ის არის, რომ ხარაგაულის რაიკოოპკავშირი დღემდე არავითარ ზომებს არ ღებულობს მოლითის სასოფლო კოოპერატივში შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

მოვითხოვთ კოოპერატიული ქონების გამნიავებლების წინააღმდეგ სასტიკი ზომების მიღებას.

აქ. ჭანკვეტაძე.

ტფილისის მარგარინის ქარხანა სისუფთავის დაცვის მაგალითს იძლევა

ტფილისის მარგარინის ქარხანა საკავშირო მნიშვნელობის საწარმოა. მან წელს ქვეყანას უნდა მისცეს 1830 ტონა მარგარინი. ეს დავალება ფრიად სერიოზულია. ამიტომ ქარხნის მთელმა კოლექტივმა წლის დასაწყისიდანვე ენერგიული ბრძოლა გაშალა მოცემული პროგრამის შესასრულებლად და საგრძნობი წარმატებებიც მოიპოვა. ივნისის გეგმა შესრულდა 102 პროცენტით.

ამხ. მირიჯანაშვილი (ტფილისის მარგარინის ქარხნის დირექტორი)

ქარხანამ გეგმის მიხედვით მეორე ხარისხის პროდუქცია უნდა გამოუშვას. მაგრამ ივლისამდე გამოშვებულ პროდუქციიდან 301 ტონა პირველი ხარისხისაა, 121 ტონა კი— მეორე ხარისხის. გადამჭრელი ბრძოლა ხარისხისათვის ივნისში გაიშალა. ამ თვეს გამოშვებული 234,6 ტონა მარგარინიდან მხოლოდ 15 ტონა იყო მეორე ხარისხის.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა ცოცხალმა, კონკრეტულ-ოპერატიულმა სამეურნეო ხელმძღვანელობამ და მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების ბეჯითმა, თავდადებულმა მუშაობამ.

ქარხნის სამკუთხედმა თებერვალში საკ. კ.პ. (ბ) ც.კ. 22 დეკემბრის დირექტივის და ამ დირექტივის საფუძველზე მომარაგების სახალხო კომისარიატის მიერ გამომუშავებულ წესების შესწავლის ათდღიური ჩაატარა, რომელშიაც ჩაბმული იყო ქარხნის მთელი კოლექტივი. აქ ყოველდღიურად ორორი საათიანი ლექციები იკითხებოდა სანიტარია-ჰიგიენის შესახებ, რასაც შედეგად მოყვა ის, რომ ქარხნის მთელი კოლექტივის 70 პროც. ჩააბარა სანიტარული მინიმუმი.

არც ათდღიურის შემდეგ შეუსუსტებიათ ბრძოლა სისუფთავის დაცვის დარგში. სანიტარული წესების და ჰიგიენის პროპაგანდას აქ კამპანიური ხასიათი არ ქონია. ყოველ სამქროში თვალსაჩინო ადგილზე გაკრულია პლაკატები, საიდახაც ამოიკითხავთ სანიტარია-ჰიგიენის სავალდებულო წესებს. სამქროებს შორის გაიშალა სოც. შეჯიბრება სანიტარულ-ჰიგიენური წესების საუკეთესოდ გატარებაზე. გამარჯვებულ სამქროსათვის დაწესებულია გარდამავალი დროშა.

კარგად არის დაყენებული ტექნიკური წრეების მუშაობა. ქარხანაში არ დარჩენილა არც ერთი მუშაკი, რომელსაც თავის თანამდებობის მიხედვით ტექნიკური მინიმუმი არ ჩაებარებია. ამან ხელი შეუწყო წარმოების ტექნიკის წარმატებით ათვისებას. ამას მოწმობს ისიც, რომ დღემდე ქარხანაში საწარმოო პროცესის შეფერხებას მუშების მიზეზით ადგილი არ ქონია.

ქარხნის დირექტორმა ამხ. **მირიჯანაშვილმა** კარგად იცის, რომ სისუფთავის დაცვისათვის არაა სავალდებულო მაღალი ტექნიკა, არამედ საჭიროა ხელმძღვანელობის უნარი. ქარხანაში სანიმუშოდ მოწყობილია მუშების ტანსაცმელის შესანახი შკაფები, არის „დუში" რომელსაც მუშა წარმოებაში შესვლამდე ღებულობს. საამქროებში საკმაო რაოდენობით დადგმულია ყუთები სანიტარული წუნისათვის და სხვ. კარგადაა დაყენებული მექანიზმების მოვლა. ყოველდღიურად მუშაობის დამთავრებისას ხდება მათი გასუფთავება. საამქროებში სისუფთავის მხრივ ყოველთვის სანიმუშო მდგომარეობაა. ქარხანაში ვერ ნახავთ მუშას, რომელიც არღვევდეს სანიტარულ წესებს.

ეს წარმატება მოპოვებულ იქნა ქარხნის ყველა ორგანიზაციის ენერგიული მუშაობით სანიტარულ-ჰიგიენური წესების დანერგვის დარგში. ამან თვალსაჩინო როლი ითამაშა ქარხნის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში.

საქართველოს კვების მრეწველობის დანარჩენ საწარმოებმა უნდა მიბაძონ მარგარინის ქარხნის მაგალითს.

ტ. ნაროუშვილი.

მარგანეცი

5 ივლისს

სასაქონლო პროდუქციის გამომუშავება (ტონობით)

გეგმა	ფაქტიური	%
3.330	2.522	75,8

ვაგონების მიწოდება

ითხოვეს	მიაწოდეს	დაიტვირთა
200	200	165

ტასთან ერთად და მაშინ — აუცილებელი იმპერიალისტური მონობა (59). აქედან წარმოსდგება რეაქციულობა ცენტრალური რუსეთისაგან განაპირა მხარეების გამოყოფის მოთხოვნისა, რომელსაც სავსებით გასაგები მოსაზრებებით მხარს უჭერს ანტანტა როგორც სიტყვით, ისე საქმით (ინტერვენცია). მაგრამ განა უფლება აქვთ ბოლშევიკებს ხელი აიღონ თავისივე ლოზუნგზე ერის თვითგამორკვევის, მაშასადამე, სრული გამოყოფის უფლების შესახებ? ყველაფერი დამოკიდებულია კონკრეტულ - ისტორიულ პირობებზე. რაკი გამოყოფა ბურჟუაზიული ანტანტის ინტერესებს ემსახურება და ძირს უთხრის რევოლუციას, ბოლშევიკები უთუოდ უნდა იყვნენ მის წინააღმდეგი და მხარს უნდა უჭერდნენ განუწყვეტელ კავშირს. „საკმარისია შევხედოთ რუსეთისაგან გამოყოფილ საქართველოს, სომხეთს (დაწერილია 1920 წ.— პ. ზ.), პოლონეთს, ფინეთს და სხვა, რომლებმაც მხოლოდ მოჩვენებითი დამოუკიდებლობა შეინარჩუნეს, ხოლო ნამდვილად ანტანტის აშკარა ვასალები გახდნენ. საკმარისია, დაბოლოს, გავიხსენოთ უკრაინის და აზერბეიჯანის მახლობელი წარსულის ისტორია, როცა პირველს გერმანიის კაპიტალი იტაცებდა, ხოლო მეორეს — ანტანტა, რომ გავიგოთ განაპირა მხარეების გამოყოფის მოთხოვნის მთელი კონტრ-რევოლუციურობა ახლანდელ საერთაშორისო პირობებში (59).

მაგრამ როცა გამოდიხარ ცენტრალურ რუსეთისაგან განაპირა კუთხეების გამოყოფის წინააღმდეგ, განა შეიძლება ამავე დროს გამოხვიდე კოლონიების გამოყოფის (იმპერიალისტური მეტროპოლიებისაგან) სასარგებლოდ? უეჭველად შეიძლება ვინაიდან იქ ლაპარაკია ეროვნული ჩაგვრისაგან, კაპიტალისტური კაბალისაგან განთავისუფლებაზე (თუნდაც ნაწილობრივზე, ეს გამოყოფა რომ კაპიტალისტურ წყობილების ფარგლებში მომხდარიყო). აქ კი მხოლოდ კავშირის საფუძველზე შეიძლება განთავისუფლება (სრული) ყოველგვარი ეროვნული ჩაგვრისაგან. „ცხადია, გამოყოფის საკითხი წყდება კონკრეტული საერთაშორისო პირობების მიხედვით, რევოლუციის ინტერესების მიხედვით" (იხ. სტალინის წინასიტყვაობა „სტატიების კრებულში", რომელიც გამოვიდა 1920 წელს ეროვნულ საქმეთა სახალხო კომისარიატის გამოცემაში).

2. განაპირა მხარეების მშრომელ მასებთან დაკავშირების მეთოდების საკითხი. „საჭიროა დაუმტკიცოთ მასებს, რომ ცენტრალური პროლეტარული რუსეთი იცავს მათი და მხოლოდ მათი ინტერესებს, და ამის დამტკიცება საჭიროა არამარტო რეპრესიული ზომებით კოლონიზატორების და ბურჟუაზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ, რაც ზოგჯერ სრულიად გაუგებარია მასებისათვის, არამედ, უწინარეს ყოვლისა, თანამიმდევრული და მოფიქრებული ეკონომიური პოლიტიკით (61, ხაზგასმა ჩემია—პ. ზ.).

3. საკითხი ორ ფრონტზე ბრძოლისა — ერთი მხრით ადგილობრივი კადრების — ნაციონალების ჩამოშორების, ეროვნულ თავისებურებათა შეუფასებლის წინააღმდეგ, ხოლო მეორე მხრით — ადგილობრივი ბურჟუაზიული ინტელიგენციის გავლენის ქვეშ მოყოლის და ეროვნულ თავისებურებათა გადაფასების წინააღმდეგ (იხ. 63—64).

შემდეგ მისდევს თეზისები პარტიის მეათე ყრილობისათვის. თეზისების პირველი ნაწილი არკვევს ეროვნულ საკითხს კაპიტალიზმის დროს. იქ სხარტი, კლასიკური ფორმით გადმოცემულია საერთო თეორიული წინამძღვრები, დადგენილი ავტორის მიერ უკვე აღნიშნულ ნაშრომებში, უმთავრესად 1912 წლის ნაშრომში. მათზე აქ ჩვენ არ შევჩერდებით.

თეზისების მეორე ნაწილი არკვევს ეროვნულ საკითხს საბჭოთა წყობილების დროს. აქ განსაკუთრებული სიძლიერით ხაზგასმულია ეროვნული თავისუფლების დაკავშირება პროლეტარიატის დიქტატურასთან". თუ კერძო საკუთრება და კაპიტალი აუცილებლად თიშავენ ადამიანებს, აღვივებენ ეროვნულ შუღლს და აძლიერებენ ეროვნულ ჩაგვრას, სამაგიეროდ კოლექტიური საკუთრება და შრომა ასევე აუცილებლად ერთმანეთთან აახლოვებენ ადამიანებს, ძირს უთხრიან ეროვნულ ჩაგვრას. საბჭოების გამარჯვება და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება წარმოადგენენ ეროვნული ჩაგვრის მოსპობის, ეროვნული თანასწორობის განხორციელების, ეროვნულ უმცირესობათა უფლებების უზრუნველყოფის ძირითად პირობას" (67). ეს ძირითადი და ულრმესი პრინციპული დებულება შუქდება ოქტომბრის რევოლუციის უმდიდრესი გამოცდილებით. შემდეგ განხილულია რუსეთის ეროვნულ - სახელმწიფოებრივი მშენებლობის ფორმები და ერთხელ კიდევ ხაზგასმულია ცალკეულ საბჭოთა რესპუბლიკების იზოლირებული არსებობის საშიშროება და დაუშვებლობა, ამასთან გადმოცემულია ფედერაციის — სახელმწიფოებრივი კავშირის ზოგადი ფორმის — საფუძვლები. უდიდესი თეორეტიკოსი და სტრატეგი კვალდაკვალ ამუშავებს ეროვნულ კავშირის და თანამშრომლობის ფორმებს და მეთოდებს და ხაზს უსვამს თითეულ კონკრეტიულ-ისტორიულ პირობის დროს ამ თანამშრომლობის, განსაკუთრებულ სპეციფიკურ შინაარსს. ასე თანდათან, სისტემატიურად მზადდებოდა სოციალისტური რესპუბლიკების დიადი კავშირი, მზადდებოდა არა თვითდინებით, არამედ ლენინის და სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თეზისების მესამე ნაწილს, რომელიც არკვევს პარტიის ამოცანებს ეროვნული საკითხის დარგში. ერის თვითგამორკვევის პრინციპი რომელსაც ბოლშევიკები იცავდნენ, უკვე განხორციელდა ოქტომბრის რევოლუციამ ყველაზე უფრო თანამიმდევრული ფორმით. ახლა ეს ლოზუნგი უკვე საკმარისი არ არის, ვინაიდან ჩამორჩენილი ერები საჭიროებენ დახმარებას მოწინავე ცენტრალურ რუსეთისაგან". ახლა, როცა ბურჟუაზია და მემამულეები დამხობილია, ხოლო საბჭოთა ხელისუფლება ხალხთა მასების მიერ ამ (ე. ი. ჩამორჩენილ — პ. ზ.) ქვეყნებშიც გამოცხადებულია, პარტიის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დაეხმაროს არაველიკორუს ხალხთა მშრომელ მასებს დაეწიონ წინწასულ ცენტრალურ რუსეთს, დაეხმაროს მათ" (70). ახლა მთელი მსოფლიო ხედავს, თუ რა თანამიმდევრობით განახორციელა პარტიამ თავისი საყვარელი ბელადის ხელმძღვანელობით ეს გრანდიოზული ამოცანა. შემდეგ ამ ნაწილში ასეთივე კლასიკური სიცხადით განხილულია კომპარტიის სპეციფიკური ამოცანები განაპირა მხარეებში და ორ ფრონტზე ბრძოლის —ველიკორუსული შოვინიზმის და ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობის საკითხები.

შემდეგ მოთავსებული მოხსენება და საბოლოო სიტყვა მე-10 ყრილობაზე წარმოადგენენ აღნიშნული თეზისების კონკრეტიზაციას და ამიტომ მასზე ჩვენ არ შევჩერდებით. მიუთითებთ მხოლოდ ჩიჩერინის მოსაზრებათა შესანიშნავ კრიტიკაზე, რომელშიაც, ჩიჩერინის შეცდომების გამოაშკარავებასთან ერთად, მოცემულია კლასიკური მითითებანი საბჭოთა ხელისუფლების საგარეო პოლიტიკის საფუძვლების შესახებ.

შემდეგ მისდევს 1921 წელს დაწერილი სტატია „ეროვნული საკითხის დაყენებისათვის". აქ მოცემულია მეორე ინტერნაციონალის გამანადგურებელი კრიტიკა და დადგენილია 4 ძირითადი მომენტი, რომლებიც პრინციპულად ანსხვავებენ ბოლშევიკების მიერ ეროვნული საკითხის დაყენებას. „პირველი მომენტი — ეროვნული საკითხის, როგორც ნაწილის, შეერთება კოლონიების, როგორც მთელის, განთავისუფლების საერთო საკითხთან" (გვ. 86). როგორც ცნობილია, მეორე ინტერნაციონალის გმირები ეროვნული საკითხის დაყენებაში იფარგლებოდნენ მხოლოდ „ცივილიზებული ერებით", რომლებიც ევროპის სახელმწიფოებში უმცირესობას შეადგენენ. ბოლშევიზმმა კი გაშალა ეროვნული საკითხის ჩარჩოები და იქ მოაქცია დედამიწის ყველა ქვეყნის კოლონიალური და ნახევრადკოლონიალური ხალხები.

„მეორე მომენტი—ეს არის ერთა თვითგამორკვევის უფლების ბუნდოვანი ლოზუნგის შეცვლა ნათელი, რევოლუციური ლოზუნგით ერების, კოლონიების სახელმწიფოდ გამოყოფის, დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნის უფლების შესახებ" (82—83) ცნობილია, რომ სოციალ-გამცემლები მეორე ინტერნაციონალიდან, ლაქიურად ეგუებოდენ რა იმპერიალისტების ინტერესებს, ერის თვითგამორკვევის უფლებას განმარტავდენ, როგორც ავტონომიის უფლებას, ისიც კულტურის ფარგლებში, მთელი პოლიტიკური ხელისუფლების დატოვებით გაბატონებული ერის ხელში. „ამგვარად, თვითგამორკვევის ბუნდოვანი ლოზუნგი ერების განთავისუფლების, ერების თანასწორობის იარაღიდან გადაქცეულ იქნა ერების მოთვინიერების იარაღად, იმპერიალიზმის მორჩილებაში ერების დატოვების იარაღად" (84).

„მესამე მომენტი — კავშირის, ორგანიული კავშირის გამოაშკარავება ეროვნულ კოლონიალურ საკითხსა და კაპიტალის ხელისუფლების, კაპიტალიზმის დამხობის, პროლეტარიატის დიქტატურის საკითხს შორის" (84). ცნობილია, რომ მეორე ინტერნაციონალი ეროვნულ საკითხს აშორებდა რევოლუციას, იგი უშვებდა არსებული წყობილების ფარგლებში მისი გადაწყვეტის შესაძლებლობას, სპეციალურად ამისათვის ეროვნული განთავისუფლების საკითხს კულტურით და კულტურული ავტონომიით ზღუდავდა" იმპერიალისტურმა ომმა გვიჩვენა, ხოლო უკანასკნელი წლების პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ:

1. ეროვნული და კოლონიალური საკითხები განუყოფელია კაპიტალის ხელისუფლებიდან განთავისუფლების საკითხისაგან. 2. იმპერიალიზმი (კაპიტალიზმის უმაღლესი ფაზა) ვერ იარსებებს არასრულუფლებიან ერების და კოლონიების პოლიტიკური და ეკონომიური დამონების გარეშე; 3. არასრულუფლებიანი ერები და კოლონიები ვერ განთავისუფლდებიან კაპიტალის ხელისუფლების დაუმხობლად, 4. პროლეტარიატის გამარჯვება ვერ იქნება მტკიცე იმპერიალიზმის ჩაგვრისაგან არასრულუფლებიანი ერებისა და კოლონიების გაუთავისუფლებლად" (გვ. 84.) და, დაბოლოს, „მეოთხე მომენტი—ეს არის ეროვნულ საკითხში ახალი ელემენტის, ეროვნებათა ფაქტიური (და არა მარტო უფლებრივი) გათანასწორების ელემენტის, როგორც სხვადასხვა ეროვნების მშრომელ მასებს შორის ძმური თანამშრომლობის ერთერთი პირობის, შეტანა (დახმარება, ხელისშეწყობა ჩამორჩენილ ერებისათვის ამაღლდენ მათზე წინ წასულ ეროვნებათა კულტურულ და სამეურნეო დონემდე" (85).

შემდეგ მოთავსებული სტატია „ოქტომბრის რევოლუცია და რუსეთის კომუნისტების ეროვნული პოლიტიკა" აჯამებს ეროვნულ სახელმწიფოებრივი მშენებლობის შედეგებს საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 4 წლის განმავლობაში. აქ გაშუქებულია, თუ როგორ მჭიდროთაა დაკავშირებული ინტერვენტებზე და კონტრრევოლუციურ გენერლებზე გამარჯვება საბჭოთა ხელისუფლების ეროვნულ პოლიტიკასთან, რომელმაც განამტკიცა განაპირა მხარეების მშრომელი მასების ნდობა და უაღრესად შეასუსტა საბჭოთა ხელისუფლების სახალხო მტრების—კოლჩაკის, ვრანგელის, დენიკინის და სხვათა ზურგი.

შემდეგ მისდევს ორი ერთდაიმავე სახელწოდების მოხსენება „საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების შესახებ", წაკითხული საბჭოების სრულიად რუსეთის მეათე ყრილობაზე და სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოების პირველ ყრილობაზე. ეს მოხსენებანი (განსაკუთრებით უკანასკნელი) წარმოადგენენ უდიდეს ისტორიულ დოკუმენტს, რომელიც დასაბამს აძლევს სახელმწიფო კავშირის ახალ, დღემდის არნახულ ფორმას, რომელიც ზედმიწევნით (დეტალებამდე) დამუშავებულია გენიალური ავტორის მიერ. სწორედ ამ ფორმამ, რომელიც ორივე ყრილობამ მიიღო, უზრუნველყო ისტორიაში უმაგალითო წარმატებანი საბჭოთა ხელისუფლებისა, რამაც საბჭოთა კავშირი გადააქცია ყველაზე მძლავრ ქვეყნად მსოფლიოში, ყველაზე მძლავრ ფაქტორად საერთაშორისო ურთიერთობაში. ავტორმა გენიალური გამჭრიახობით დაადგინა, რომ სწორედ ეს ფორმა იძლევა საშუალებას" განვითარდეს სერიოზულ საერთაშორისო ძალად, რომელსაც შეეძლება ზეგავლენა მოახდინოს საერთაშორისო ვითარებაზე, შეეძლება შესცვალოს იგი მშრომელთა ინტერესების სასარგებლოდ (გვ. 96)

შემდეგ მოყვება შესანიშნავი თეზისები პარტიის მე-12 ყრილობისათვის და მოხსენებანი მე-12 ყრილობაზე. საერთო-თეორიული შესავლის შემდეგ, რომელიც გაშლილია ბოლშევიზმის ისტორიის კონკრეტულ მასალებზე და საბჭოთა ხელისუფლების გამოცდილებაზე, ავტორი ერთხელ კიდევ განსაკუთრებულად აღნიშნავს საბჭოთა ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკის გადამწყვეტ მნიშვნელობას შინაურ და გარეშე მტრებზე გამარჯვების და განაპირა მხარეებში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საქმეში. „არავგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ასეთი ხდომის გარეშე რუსეთის პროლეტარიატი ვერ შესძლებდა დაემარცხებინა კოლჩაკი და დენიკინი, იუდენიჩი და ვრანგელი. მეორე მხრით, უეჭველია, რომ ჩაგრული ეროვნებანი ვერ მიაღწევდნენ თავის განთავისუფლებას რუსეთის ცენტრში პროლეტარიატის დიქტატურის დაუმყარებლად" (გვ. 105). შემდეგ დადგენილია ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის ძირითადი ეტაპები სხვადასხვა პერიოდში: „სამოქალაქო ომის და ინტერვენციის პერიოდში, როცა ეროვნულ რესპუბლიკათა სამხედრო თავდაცვის ინტერესები პირველ რიგში წამოიჭრა, მაშინ როცა სამეურნეო მშენებლობის საკითხები ჯერ კიდევ არ იდგა რიგში —თანამშრომლობამ მიიღო სამხედრო კავშირის ფორმა.. ომის შემდგომ პერიოდში, როცა ომით დანგრეული საწარმოო ძალების აღდგენის საკითხი პირველ რიგში დადგა—სამხედრო კავშირი შევსებულ იქნა სამეურნეო კავშირით. ეროვნულ რესპუბლიკათა გაერთიანება საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში წარმოადგენს თანამშრომლობის ფორმების განვითარების უკანასკნელ ეტაპს... ერთიან მრავალეროვან სახელმწიფოში" (გვ. 106). ავტორი მთელი სიმწვავით და შეურიგებლობით გვიშლის ორ ფრონტზე ბრძოლის საკითხს და ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს ეროვნული საკითხის განუწყვეტელ კავშირს კოლონიალურ საკითხთან, „ამ რეზერვებზე, აღმოსავლეთის, მძიმე რეზერვებზე, რომლებიც ამავე დროს მსოფლიო იმპერიალიზმის ზურგს შეადგენენ, — არის ლაპარაკი ეროვნული საკითხის განხილვისას... „ჩვენი რესპუბლიკების კავშირს მთელი აღმოსავლეთი უყურებს, როგორც საცდელ მინდორს" და სხვ. (გვ. 112). ამის შემდეგ ავტორი არკვევს ეროვნული საკითხის კლასობრივ შინაარსს მოცემულ კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში. „ეროვნული საკითხის კლასობრივი რაობა მდგომარეობს ურთიერთობის განსაზღვრაში—მე ვლაპარაკობ ჩვენს 'საბჭოთა ვითარებაზე — სწორი ურთიერთობის განსაზღვრაში ყოფილი მბრძანებელი ერის პროლეტარიატსა და ყოფილ ჩაგრულ ეროვნებათა გლეხობას შორის" (გვ. 118). აქ წამოყენებულია ის პრინციპული დებულება, რომელიც განსაკუთრებით წამოყენებულია სემიჩთან პოლემიკაში სამხრეთ სლავიის საკითხზე,—სახელდობრ, რომ „ეროვნული საკითხი არსებითად არის გლეხთა საკითხი".

შემდეგ კონკრეტიზებულია ამხ. სტალინის მიერ ჯერ კიდევ მეათე ყრილობის დროისათვის დადგენილი დებულება ეროვნებათა ფაქტიური უთანასწორობის ცარიზმის ამ ისტორიული მემკვიდრეობის ლიკვიდაციის შესახებ, განაპირა მხარეებისათვის რეალური დახმარების აღმოჩენის შესახებ, რომ ისინი მოწინავე ცენტრს დაეწიონ, ამასთან ამხ. სტალინი სასტიკად ილაშქრებს იმათ წინააღმდეგ, ვინც ეროვნულ საკითხს ზღუდავს სკოლის, ენის და სხვა საკითხებით. იგი აღნიშნავს, რომ ეროვნული საკითხის გადაწყვეტის საფუძველს წარმოადგენს მრეწველობის კერების დაჩქარებული შექმნა ჩამორჩენილ რესპუბლიკებში. (გვ. 117).

მაგრამ, ხაზს უსვამს რა განაპირა მხარეებისათვის დახმარების გაწევის აუცილებლობას, რევოლუციური დიალექტიკის დიდი ოსტატი ამხ. სტალინი სასტიკად ამათრახებს ბუხარინს და რაკოვსკის, რომლებიც წინადადებას იძლეოდნენ, რომ ცენტრალური რუსეთი ჩაეყენებინა განაპირების მიმართ არათანასწორუფლებიან მდგომარეობაში. „...ცხადია, რომ პროლეტარული დიქტატურის პოლიტიკურ საფუძველს უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად შეადგენენ ცენტრალური, სამრეწველო რაიონები და არა განაპირები, რომლებიც გლეხურ ქვეყნებს წარმოადგენენ. თუ ჩვენ გადავღუნავთ ჯოხს გლეხური განაპირების მხარეზე, პროლეტარული რაიონების საზიანოდ, მაშინ შეიძლება — პროლეტარიატის დიქტატურის სისტემა გაიბზაროს ეს სახიფათოა, ამხანაგებო. პოლიტიკაში, ნურც გადამლაშებენ და ნურც მარილს მოაკლებენ" (126).

შემდეგ მოთავსებულია ც. კ-ის სპეციალურ თათბირზე (1923 წ.) წარმოთქმული სიტყვა სულთან გალიევის საკითხზე და მე-12 ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების შესახებ. აქ ამხ. სტალინი ამახვილებს ყურადღებას ორ ფრონტზე ბრძოლის — მემარჯვენეთა და „მემარცხენეთა" წინააღმდეგ ბრძოლის და ადგილობრივი ეროვნული კადრების შექმნის საკითხზე. სტალინის მიერ აქ მიცემული ბრძნული მითითებანი მისივე ბრძნული ხელმძღვანელობით განუხრელად განხორციელდა.

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს შემდეგი სტატია — „ოქტომბრის რევოლუცია და საშუალო ფენების საკითხი" (1923 წ.). მოცულობით პატარა სტატია (სამი გვერდი) შეიცავს გენიალური აზრების ისეთ სიმდიდრეს, რომ მათი გადმოცემა ბევრ ადგილს დაიჭერდა. საშუალო ფენების საკითხს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს რევოლუციისათვის. ეს დებულება ბრწყინვალედ ნათელყოფილია ამხ. სტალინის მიერ როგორც რუსეთის 1905—1917 წლების რევოლუციების გამოცდილებით, ისე საფრანგეთის და გერმანიის მე-19 საუკუნის რევოლუციების გამოცდილებით. მაგრამ, როგორც ზემოთ დადგენილი იყო, ეროვნული საკითხი უაღრესად მჭიდროდ არის დაკავშირებული საშუალო ფენების საკითხთან, ვინაიდან" ჩაგრული ეროვნებანი... ცხრა მეათედით გლეხებისა და ქალაქის წვრილი მშრომელი ხალხისაგან შედგებიან" (141)

ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან იგი პროლეტარულ რევოლუციას უკავშირებს კაპიტალის რეზერვების საკითხს. „ეს გარემოება გახდა ის ბაზა, რომლის საფუძველზე პროლეტარიატმა შეძლო განეხორციელებინა „პროლეტარული რევოლუციის შეერთება" არამარტო „გლეხურ ომთან", არამედ „ეროვნულ ომთანაც" ყველაფერი ამას არ შეეძლო არ გაეფართოებია პროლეტარული რევოლუციის მოქმედების სარბიელი შორს რუსეთის ფარგლებს იქით, არ შეეძლო არ დამექრებოდა კაპიტალის ყველაზე უფრო ღრმა რეზერვებს" (142).

შემდეგ მოთავსებულ, ყველასათვის ცნობილ თავზე „ლენინიზმის საკითხებიდან" ეროვნული საკითხის შესახებ აქ არ შევჩერდებით, ვინაიდან ამ სახელმძღვანელო წიგნს ყოველი კომუნისტ - ლენინელისავის, მთელ მსოფლიოში ყველა უნდა იყოს გაცნობილი. გადავდივართ ეროვნული საკითხის გამო სამხრეთ-სლავიაში სემიჩის წინააღმდეგ მიმართული პოლემიკის მოკლე დახასიათებაზე.

უწინარეს ყოვლისა, სტალინი მკაცრად ილაშქრებს ეროვნული საკითხის კონსტიტუციურ საკითხზე, რეფორმის საკითხზე დაყვანის წინააღმდეგ. ზევით ჩვენ დავინახეთ, რომ 1912 წლის ნაშრომში ეროვნული განთავისუფლების განუწყვეტელი კავშირი **რევოლუციასთან** მტკიცედ იქნა დადგენილი. აქ ხაზგასმულია ახალი მომენტი, ორი სტატიის არსებობა ეროვნული საკითხის დასმაში. „შეიძლება გაუზვიადებლად ითქვას, რომ რუსეთის მარქსიზმის ისტორიაში ეროვნული საკითხის დასმას ორი სტატია ჰქონდა: პირველი, ე. ი. წინა — ოქტომბრის და მეორე, ე. ი. ოქტომბრის. პირველ სტადიაში ეროვნული საკითხი განიხილება როგორც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის საერთო საკითხის ნაწილი, ე. ი. როგორც პროლეტარიატის და გლეხობის დიქტატურის საკითხის ნაწილი. მეორე სტადიაში, როცა ეროვნული საკითხი გაფართოვდა და კოლონიების საკითხად გადაიქცა, როცა ეროვნული საკითხი შინასახელმწიფოებრივი საკითხიდან მსოფლიო საკითხად გადაიქცა, — ეროვნულ საკითხს იხილავდნენ უკვე როგორც პროლეტარული რევოლუციის საერთო საკითხის ნაწილს, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის საკითხის ნაწილს. იქაც და აქაც მიდგომა, როგორც ხედავთ, ნამდვილად რევოლუციური იყო (152). შემდეგ უფრო კონკრეტულად შუქდება თეზისი იმის შესახებ, რომ ეროვნული საკითხი არსებითად არის გლეხთა საკითხი.

სემიჩის შეცდომათა ბრწყინვალე და გამანადგურებელი კრიტიკა იშლება ბალკანეთის ქვეყნების სინამდვილის ულრმესი ანალიზის საფუძველზე და იძლევა კლასიკურ მითითებებს, თუ როგორ უნდა შენდებოდეს ამ ქვეყნების კომპარტიების პროგრამა, სტრატეგია და ტაქტიკა.

შემდეგ მოთავსებული შესანიშნავი სიტყვა აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტური უნივერსიტეტის სტუდენტთა კრებაზე (1925 წ. მაისი) „აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტის პოლიტიკური ამოცანების შესახებ" წარმოადგენს დაუშრეტელ რეზერვუარს, საიდანაც ახლო (საბჭოთა) და შორეული (კოლონიალური) აღმოსავლეთის ქვეყნების კომუნისტები ამოკრეფენ ხელმძღვანელ იდეებს თავის ბრძოლაში. საბჭოთა აღმოსავლეთის კომუნისტების ძირითადი ამოცანებია: „1) შექმნან სამრეწველო კერები აღმოსავლეთის საბჭოთა რესპუბლიკებში, როგორც ბაზები მუშათა კლასის ირგვლივ გლეხობის დასარაზმავად... 2) ასწიონ სოფლის მეურნეობა და, უწინარეს-ყოვლისა, მორწყვა... 3) აამაღლონ და წინ წასწიონ გლეხთა და შინამრეწველთა ფართო მასების კოოპერირების საქმე... 4) დაუახლოვონ საბჭოები მასებს, გახადონ ისინი შემადგენლობით ეროვნული... 5) განავითარონ ეროვნული კულტურა... (გვ. 156—157). ამხ. სტალინი განსაკუთრებით ჩერდება ეროვნული კულტურის საკითხზე, ცხადჰყოფს რა მის სხვადასხვა შინაარსს სხვადასხვა წყობილების დროს. ეროვნული კულტურა **ბურჟუაზიულია** ბურჟუაზიის დიქტატურის დროს, მაგრამ სოციალისტურია პროლეტარიატის დიქტატურის დროს. ასეთია საკითხის დიალექტიკა. (გვერდი 158). შემდეგ მოცემულია ეროვნულ საკითხში სხვადასხვა გადახრის ბრწყინვალე კრიტიკა.

კომუნისტების ამოცანები კოლონიალური და დამოუკიდებელი აღმოსავლეთის მიმართ: 1) მუშათა კლასის საუკეთესო ელემენტების გადაყვანა კომუნიზმის მხარეზე და დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიების შექმნა, 2) მუშების, გლეხების და რევოლუციური ინტელიგენციის ნაციონალურ-რევოლუციური ბლოკის შექმნა შეთანხმებული ნაციონალური ბურჟუაზიის და იმპერიალიზმის წინააღმდეგ, 3) პროლეტარიატის ჰეგემონიის უზრუნველყოფა ამ ბლოკში, 4) ბრძოლა ქალაქის და სოფლის წვრილ - ბურჟუაზიის განთავისუფლებისათვის შეთანხმებული ნაციონალური ბურჟუაზიის გავლენისაგან, 5) მოწინავე ქვეყნების პროლეტარულ მოძრაობასთან განმანთავისუფლებელი მოძრაობის კავშირის უზრუნველყოფა. (გვ. 163—164). შემდეგ მოცემულია გამანადგურებელი კრიტიკა ორივე მემარჯვენე და „მემარცხენე" (გადახრისა, რაც გამოიხატება: 1) „კოლონიზსა და დამოკიდებულ ქვეყნებში განმანთავისუფლებელი მოძრაობის რევოლუციურ შესაძლებლობათა შეუფასებლობაში და ერთიანი ყოვლის—მომცველი ნაციონალური ფრონტის იდეის გადაფასებაში და 2) განმანთავისუფლებელ მოძრაობის რევოლუციურ შესაძლებლობათა გადაფასებაში და იმპერიალიზმის წინააღმდეგ რევოლუციურ ბურჟუაზიასთან მუშათა კლასის კავშირის საქმის შეუფასებლობაში.

პირველად გამოქვეყნებული ნაწყვეტი ამხ. სტალინის წერილიდან კაგანოვიჩისადმი წარმოადგენს ურთულეს ისტორიულ სიტუაციაში გენიალური პროგნოზის ნიმუშს. უკრაინის კომუნისტების ერთი (სრულიად უმნიშვნელო) ჯგუფის გადაგვარებამ ხვილევის მეთაურობით ბრწყინვალედ დაადასტურა ამ პროგნოზის სისწორე. შემდეგ მოთავსებული დიდი ნაწყვეტი სიტყვიდან ჩინეთის შესახებ (1927 წ.). წარმოადგენს ოპოზიციის გაშლილ კრტიკას ნაციონალურ-განმანთავისუფლებელ მოძრაობის შეფასების საკითხში. ჩინეთის რევოლუციის და მისი სხვადასხვა ეტაპის კონკრეტულ მაგალითზე მოცემულია პროლეტარულ რევოლუციასთან ნაციონალურ-განმანთავისუფლებელი, მოძრაობის განუწყვეტელი კავშირის გენიალური ანალიზი. ამ უაღრესად შინაარსიანი სიტყვის გადმოცემა მეტად დიდ ადგილს დაიკავებდა. ამიტომ ჩვენ აქ დავკმაყოფილდებით პატარა ციტატის მოყვანით: „გადაწყვიტა თუ არა პირველმა ეტაპმა (ჩინეთის რევოლუციისა—პ. ზ.) უცხოეთის იმპერიალიზმის დამხობის ამოცანა? არა, ვერ გადაუწყვეტია. მან მხოლოდ პირველად აამოძრავა რევოლუციური მასები იმპერიალიზმის წინააღმდეგ იმისათვის, რომ დაემთავრებინა თავისი ბრძოლა და ეს საქმე მომავლისათვის გადაეცა. უნდა ვიფიქროთ, რომ რევოლუციის ვერც მეორე ეტაპი შესძლებს მთლიანად გადასწყვიტოს იმპერიალისტების გაძევების ამოცანა. იგი კიდევ უფრო აამოძრავებს ჩინეთის მუშათა და გლეხთა ფართო მასებს იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მაგრამ ამას მოიმოქმედებს იმისათვის, რომ ამ საქმის დამთავრება გადასცეს ჩინეთის რევოლუციის შემდგომ ეტაპს, საბჭ ეტაპს". (188) ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ დაადასტურა მთლიანად მოვლენათა ისტორიულმა მსვლელობამ ამხ. სტალინის ეს გენიალური პროგნოზიც. საბჭოთა რევოლუცია ჩინეთში, რომელიც წარმატებით ვითარდება, მალე მთელ ჩინეთს მოიცავს და იმპერიალისტებს გააძევებს, მაგრამ იგი მათ გააძევებს „თავის" ჩინელ ბურჟუაზიასთან ერთად.

✤

რეცენზიის ისედაც გადალახული ფარგლები საშუალებას არ გვაძლევს შევჩერდეთ აქ კრებულში მოთავსებულ ნაწყვეტებზე მე-16 და მე-17 ყრილობებისათვის გაკეთებულ მოხსენებიდან. ეს უდიდესი დოკუმენტები წარმოადგენენ ნაციონალური საკითხის თეორიის შემდგომ განვითარებას და განვითარებას და თანამედროვე პრაქტიკული ამოცანების გენიალურ ანალიზს. მათი შინაარსის გადმოცემაზე აქ შეიძლება ხელი ავიღოთ იმიტომაც, რომ ისინი ამ ცოტა ხნის წინად შეადგენდნენ და ახლაც შეადგენენ საფუძვლიანი შესწავლის საგანს.

✤

ამით ჩვენ ვფარგლავთ ეპოქის ამ უდიდესი დოკუმენტის მოკლე მიმოხილვას, დოკუმენტის, რომელშიაც სინტეტიურად მოცემულია ბოლშევიზმის როგორც დიადი ბრძოლის, ისე დიდი გამარჯვებათა საფუძვლები და შედეგები.

ეს წიგნიც გახდება სახელმძღვანელო ყოველი კომუნისტისათვის, ისევე როგორც „ლენინიზმის საკითხები", უნდა დავაჩქაროთ ამ წიგნის ქართულად გადმოთარგმნა, რაც გულდასმით უნდა შესრულდეს, რომ საბჭოთა საქართველოს ყოველი კომუნისტისა და კომკავშირელისათვის უყველი პატიოსანი მშრომელისათვის მისაწვდომი იყოს მარქსიზმ-ლენინიზმის

ტფილისის ტრამვაი უკეთ მუშაობს

ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით

ტრამვაის ფართო ლიანდაგიანი ხაზების გაყვანა წელს ორი თვის დაგვიანებით დაიწყო, რადგან საამისოდ საჭირო რელსების და შპალების დროულად გამონახვა ტრამვაის დირექციამ ვერ მოახერხა. მიუხედავად ასეთი დაგვიანებისა 1-ლი ივლისისათვის ტრამვაის მეურნეობას წარმატებით ჰქონდა შესრულებული ფართო ლიანდაგიანი ხაზების გაყვანის ნახევარი წლის გეგმა.

გაყვანილია ფართო ლიანდაგიანი ხაზი კახეთის მოედნიდან 300 არაგველთა ხიდამდე და დამთავრებულია ირგვლივი ხაზის გაყვანა აბასაბადის მოედანსა და 1-ლი მაისის ქუჩაზე.

წარმატებითაა აგრეთვე შესრულებული ხაზზე ვაგონების გამოშვების გეგმა განვლილი ორი კვარტალის განმავლობაში ეს გეგმა შესრულებულია 105 პროცენტით, ხოლო მგზავრების გადაყვან-გადმოყვანიდან შემოსული თანხები საგეგმო დანაწესს აჭარბებს 1,4 პროცენტით, რაც მოწმობს მგზავრების გადაყვანის გეგმის ასევე გადაჭარბებით შესრულებას.

ნახევარი წლის გეგმის გადაჭარბებით შესრულების შესახებ ტრამვაის დირექციამ პატაკი გაუგზავნა — საქ. კ.პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტს, საქ. კ.პ. (ბ) ტფ. კომიტეტს, ტფილისის საბჭოს და სტალინის სახ. რაიკომს.

* * *

ამინდი საქართველოში

6 ივლისის დილის 8 ს. 7 ივლისის დილის 8 საათამდე

დასავლეთ საქართველოში დღისით, 6 ივლისს ყველგან იდგა მოღრუბლული, მაგრამ მშრალი ამინდი. საღამოთი — ოზურგეთის; ანასეულის;; ბათომის; ჭრებალოს და წიფის მიდამოებში მოვიდა პატარა წვიმა, ნალექების რაოდენობა არსად არ აღემატება 2 მილიმეტრს. ქროდა სუსტი ქარი. ტემპერატურა ცვალებადი იყო, დღისით 24 გრადუსიდან (აკანა) 27 გრადუსამდე (სამტრედია) და ღამით 14 გრადუსიდან (ონი) 20 გრადუსამდე (ჩაქვა. ბათომი, ქუთაისი).

აღმოსავლეთ საქართველოში მოვიდა წვიმა — კახეთში „ტფილისის, ბორჯომის, გუდაურის და ყაზბეგას მიდამოებში. ჭექა-ქუხილი მარტო ტფილისში იყო. ნალექების რაოდენობა ყველაზე მეტია ტფილისში (43 მილიმეტრი). დანარჩენ რაიონებს შორის — თელავში ნალექების რაოდენობა უდრის—25 მილიმეტრს, გუდაურში — 10 მილიმეტრს, თიანეთში — 7 მილიმეტრ, ხოლო დანარჩენ რაიონებში საშუალოდ 3 მილიმეტრს არ აღემატება. გორის, თიანეთის და ყარაიას რაიონებში ქროდა დასავლეთის ძლიერი ქარი. ტემპერატურა ცვალებადი იყო, დღისით 15 გრადუსიდან (გუდაური) 30 გრადუსამდე (ლუქსემბურგი, საგარეჯო და თელავი), ხოლო ღამით 8 გრადუსიდან (ყაზბეგი) 20 გრადუსამდე (ლაგოდეხი და ყარაია).

მოსალოდნელი ამინდი 8 ივლისისათვის: დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია — ცვალებადი მოღრუბლულობა, პატარა წვიმა, სუსტი ქარი და ტემპერატურის მცირე ცვლილება.

აღმოსავლეთ საქართველოში მოსალოდნელია — მნიშვნელოვანი მოღრუბლულობა, წვიმა, სუსტი ქარი და ტემპერატურის მცირე ცვლილება.

ტყიბულის საბრიკეტე ქარხნის გაფართოება

საქ. სახკომსაბჭომ წინადადება მისცა ტყიბულის მაღაროების სამმართველოს, დაუყოვნებლივ შეუდგეს საბრიკეტე ქარხნის გაფართოებას და დაიწყოს ზამთრისათვის ბრიკეტების დამზადება ქვანახშირის მტვერიდან.

საბრიკეტე ქარხანა უნდა გაფართოვდეს იმ ვარაუდით, რომ მან წლის განმავლობაში მოგვცეს 18 ტონა ბრიკეტი, რომელიც შესცვლის შეშას. ქარხნის გასაფართოებლად საჭირო კრედიტი უკვე გახსნილი აქვს მაღაროების სამმართველოს. ქარხნის გაფართოება უნდა დამთავრდეს 1-ლ სექტემბრამდე.

საქ. მარაგგასაღებას დავალებული აქვს მიაწოდოს ტყიბულის მაღაროების სამმართველოს საბრიკეტე წარმოებისათვის საჭირო მოწყობილობა.

მზადება 1912 წელს დაბადებულთა ჯარში გაწვევისათვის

ა.-კ. პროფსაბჭო შეუდგა ძირეული პროფესიული ორგანიზაციების მუშაობის შემოწმებას 1912 წ. დაბადებულთა გაწვევის სამზადისში. პროფორგანიზაციებს დავალებული ჰქონდათ, რომ მაისიდანვე გაეშალათ მუშაობა წითელ არმიაში მორიგი გაწვევის წარმატებულად ჩატარების უზრუნველსაყოფად. მათ უნდა მიეღოთ ზომები წვევამდელებს შორის წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციოდ, ჩაეტარებიათ ახსნა - განმარტებითი მუშაობა, მიეღოთ ზომები წვევამდელებს შორის პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობის გასაშლელად და სხვა.

ძირეული პროფორგანიზაციების მუშაობის გამოკვლევა ამ დარგში დამთავრდება 25 ივლისს. გამოკვლევის დროს დამუშავდება პრაქტიკული ღონისძიებები ადგილებზე გაწვევისათვის სამზადისის გასაცხოველებლად.

ნორჩი ავიამოდელისტების რესპუბლიკური შეკრება

15 ივლისს ტფილისში მოწვეულია ნორჩი ავიამოდელისტების რესპუბლიკური შეკრება, რომელიც სამი დღე გაგრძელდება: შეკრებაზე ნაჩვენები იქნება ავიამოდელისტების წრეების მიღწევები. მოხდება მოდელების დემონსტრაცია და მოეწყობა ავიამოდელების გამოფენა.

შეკრებაზე დასასწრებად გამოწვეული არიან აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხრეთ - ოსეთის ნორჩ ავიამოდელისტთა წრეების წარმომადგენლები და აგრეთვე 10 რაიონის ავიამოდელისტები.

სურათზე: ავიამოდელების სავარჯიშო ფრენა კულტურისა და დასვენების საბავშვო პარკში (ტფილისი).

მესამე საბჭოთა კავშირში



ტფილისის ფეხსაცმელების ახალი ფაბრიკა ყოველწლიურად მოგვცემს 6, 5 მილიონ წყვილ ფეხსაცმელს.

მომავალი წლის მეორე ნახევრიდან, ე. ი. სწორედ ერთი წლის შემდეგ, ტფილისში ამუშავდება ფეხსაცმელების ახალი დიდი ფაბრიკა, რომელიც საწარმოო სიმძლავრის მიხედვით მესამე იქნება მთელ საბჭოთა კავშირში. ფაბრიკამ ყოველწლიურად უნდა მოგვცეს 6.500.000 წყვილი სხვადასხვა ასორტიმენტის ფეხსაცმელი.

აღნიშნული ფაბრიკა შენდება ნავთლუღში. ფაბრიკის ერთერთი საამქროს — ფეხსაცმელების მექანიკური საკერის კორპუსი უკვე დამთავრებულია. იგი უნდა ამუშავდეს მიმდინარე წლის ბოლოდან. ფაბრიკის დანარჩენი საამქროების მოწყობა დამთავრდება, ნაწილის 1935 წ. პირველ კვარტალში, ხოლო ნაწილის იმავე წლის მეორე კვარტალში. მომავალი წლის მესამე კვარტალიდან კი მთელი ფაბრიკა ამუშავდება.

ფაბრიკასთან, სადაც 3000-ზე მეტი მუშა იქნება დაბანდებული, გაშენდება მუშათა საცხოვრებელი უბანი — ფაბრიკა - სამზარეულოთი, კინო - თეატრით, კლუბით, პარკით და სხ.

ფეხსაცმელების ახალი ფაბრიკის აგება ჯდება 17 მილიონ მანეთამდე.

სურათზე: მექანიკური საამქროს კორპუსი, რომლის აგებაც დამთავრებულია და სადაც მოწყობილობათა მონტაჟი იწყება. მარჯვნივ — მთავარი საფაბრიკო კორპუსის მშენებლობა.

მეცნიერება და ტექნიკა

დიზელიანი ავტომობილების მშენებლობისათვის

გუშინწინ მოსკოვიდან ტფილისში ავტომობილებით ჩამოვიდა საკავშირო სადიზელე გადარბენის წინასწარ მომზადებელი რაზმი.

ეს გადარბენა მოსკოვ - ტფილისის მარშრუტით და უკან — დაიწყება ივლისის ათში მისი მიზანია — ავტომობილებზე დიზელის ძრავთა გამოცდა ჩვენს პირობებში. ეს ძრავები, როგორც ცნობილია, ბენზინით მომუშავე ჩვეულებრივი ავტომოტორებისაგან განსხვავებით, მუშაობენ ნავთის მძიმე სათბობით — გაზოილით. და დიდი უპირატესობა აქვთ: იძლევიან მნიშვნელოვან ეკონომიას, არ ქრებიან დაბალ ტემპერატურისას და სხვ. დიზელმოტორების ნაკლს — ამუშავების სიძნელეს და შედარებით დიდ წონას მსოფლიო ტექნიკა ამჟამად წარმატებით სძლევს. დიზელი იპყრობს არა მარტო ავტომობილს, არამედ თვითმფრინავსაც. მაგალითად, ავტომობილების უკანასკნელ გამოფენაზე ბერლინში საბარგო მანქანების თითქმის ყველა მოდელი დიზელიანი იყო. გერმანიის თითქმის მთელი საბარგო ავტოპარკი დიზელებით მუშაობს.

საბჭოთა კავშირი, რომელმაც ბენზინის მოტორების დამზადებაში უდიდეს წარმატებებს მიაღწია, ახლა იბრძვის დიზელების რთული წარმოების ათვისებისათვის. ჩვენი სამეცნიერო - საგამოკვლევო ინსტიტუტები მუშაობენ საბჭოთა დიზელის („კოჯუს“ ტიპი და სხვ.) კონსტრუირებაზე. ამავე დროს ჩვენ გვინდა გამოვიყენოთ მსოფლიო ტექნიკის ყველა საუკეთესო მონაპოვარი.

მთელი რიგი ევროპული ფირმების დიზელიანი ხუთტონიანი ორმოცდაათი მანქანის გადარბენა საშუალებას მოგვცემს შევარჩიოთ დიზელის საუკეთესო ტიპი. მასში შევიტანთ საჭირო შესწორებებს და მოვაწყობთ ჩვენი საბჭოთა დიზელების წარმოებას.

დიზელიანი ავტომანქანები განსაკუთრებით ფართოდ შეიძლება გამოყენებულ იქნან ამიერკავკასიაში, ვინაიდან დიზელის ძირითადი ნაკლი საბჭოთა კავშირის ჩრდილოეთ ნაწილის პირობებში — ამუშავების სიძნელე დაბალ ტემპერატურისას — ჩვენში ქარწყლდება.

სადიზელე კონკურსის კოლონა ტფილისში ჩამოვა ივლისის ოც რიცხვებში.

ფინიკულორის წყალსადენი

ამუშავდება აგვისტოში

ფუნიკულიორზე წყალსადენის გასაყვანი სამუშაოები დასასრულს უახლოვდება. ყველა ნაგებობები (მილსადენი, წყალსაქაჩი სადგური და სხვ.) მზადაა და დარჩა ძაგებათ ფუნიკულიორის ზემო რეზერვუარი, რომელმაც 10.000 ვედრო წყალი უნდა დაიტიოს.



ფუნიკულიორის რეზერვუარის მშენებლობა დააბრკოლა ცემენტის მოუწოდებლობამ. უკანასკნელად ტფილისის საბჭომ მიიღო სასწრაფო ზომები და მშენებლობას უკვე გადასცა ცემენტის საკმაო რაოდენობა.

ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმმა, ამავე დროს დაავალა ნატახტარმშენს, რომ ერთი თვის განმავლობაში უზრუნველყოს სამუშაოთა დამთავრება და წყლის გაშვება ფუნიკულიორზე. აგვისტოს პირველ დეკადაში ნატახტარის წყალი გაშვებული უნდა იქნეს ფუნიკულიორზე.

ახალი წიგნები

მ. ჯავახიშვილი კვაჭი კვაჭანტირაძე II ტომი (მეორე გამოცემა); ტირაჟი 5000 ც. ფასი 7 მანეთი.

ტ. ტაბიძე რჩეული ლექსები; ტირ. 3000 ფასი 7—50 კ.

ს. ჩიქოვანი ლექსები წიგნი პირველი; ტირ. 3000 ფასი 8—70 კ.

დავ. დონდუა გეოგრაფიის რვეული ნაწილი I. ტირაჟი 10.000 ფასი 1 მანეთი.

მუშათა კლუბებსა და ბაღებში

ორჯონიკიძის სახ. კლუბის ბაღში გაიმართება დიდი სეირნობა — დასვენება, კლუბის დარბაზში რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობების — ჩერქეზიშვილის, ტასო აბაშიძის, მუსიკოს ვ. ბალანჩივაძის და პოეტ ი. გრიშაშვილის მონაწილეობით დაიდგმება პიესა „დედის ერთა“. ღია ესტრადაზე გაიმართება საღამო - კონცერტი. ბაღში დაუკრავს ზურნა და სასულე ორკესტრი. ბაღში შესდგება წაუგებელი ლოტარიის გათამაშება.

* * *

სტალინის სახ. კლუბში საღამოს, ღია ესტრადაზე გაიმართება ქართული მუსიკალური სატირის დიდი საღამო.

„სასამართლო“ მარჯანიშვილის თეატრში. დღეს, ტფილისში საგასტროლოდ ჩამოსული თელავის სახელმწიფო თეატრი დგამს კირშონის პიესას — „სასამართლო“.

რაჭას უახლოვდება რკინის გზა

რაჭა რკინისგზიდან დიდი მანძილით არის დაშორებული ქვემო რაჭიდან რკინის გზის პირველ სადგურზე მისასვლელი გზა უდრის 70 კილომეტრს (ოსეთის სამხედრო გზატკეცილით), ხოლო ზემო რაჭიდან (ონი)—120 კილომეტრზე.

იმ მიზნით, რომ რაჭიდან რკინის გზის პირველ სადგურამდე მანძილი შეცირებული იქნეს ამბროლაურის და ონის რაიონულმა ორგანიზაციებმა გადაწყვიტეს შეუდგენ ახალი გზატკეცილების გაყვანას.

პირველი გზატკეცილი ამბროლაურიდან (ქალ. ენუქიძე) გაჰყავთ ტყიბულამდე ნაქერალის უღელტეხილით, ახალი გზის სიგრძე იქნება 40 კილომეტრი და იგი 30 კილომეტრით შეამცირებს მანძილს რკ. გზამდე.

მეორე გზატკეცილი გაჰყავთ ონიდან დარკვეთამდე (ჭიათურის რაიონი) შქმერის უღელტეხილით. აღნიშნული გზის სიგრძე იქნება 45 კილომეტრი და იგი მანძილს რკ. გზამდე შეამცირებს 75—80 კილომეტრით. ონი-დარკვეთის გზატკეცილის მშენებლობაში მონაწილეობენ ჭიათურის რაიონის მშრომელებიც.

ორივე აღნიშნული გზა გაჰყავთ მოსახლეობის შრომითი ბეგარის გამოყენების საშუალებით.

მზადება ახალ სასწავლო წლისათვის

ახალ სასწავლო წლისთვის სამზადისთან დაკავშირებით 9 ივლისს პროფსაბჭოს დიდ დარბაზში შედგება პროფაქტივის საქალაქო შეკრება. შეკრებაზე განხილული იქნება საკითხი სასწავლო წლისათვის მოსამზადებელი მუშაობის მიმდინარეობის შესახებ. მოსმენილი იქნება [illegible], კოოპერაციის და საზკვების კავშირების მიერ ჩატარებული მუშაობის ანგარიშები. ამასთან ერთად ტფილისის ხუთი საწარმოოს წარმომადგენლები (ორთქლმავალის შემკეთებელი ქარხ. „26 კომუნარის“ სახ. ქარხ. ორჯონიკიძის სახ. აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა და მკერავი № 1 ფაბრიკები) შეკრებას გააცნობენ თავიანთ მონაწილეობას სასწავლო წლისთვის მზადებაში.

რაიონული ორგანიზაციების შემოწმებისათვის გამოყოფილია პროფსაბჭოს პრეზიდიუმის 8 წევრი. გამოკვლევა უნდა დამთავრდეს ივლისის 10-სათვის.

ფიზკულტურა და სპორტი

ფეხბურთი

ცეკავშირი — „დინამო“

6 ივლისს ლენინის სახელობის სტადიონზე უნდა გამართულიყო ყირიმის და ტფილისის გუნდების შეჯიბრება, მაგრამ ვინაიდან ყირიმის გუნდს დააგვიანდა ჩამოსვლა, თამაშობდნენ „ცეკავშირი“ და „დინამო“. ამ გუნდების კალენდარული შეჯიბრება საქალაქო პირველობის გათამაშებას დროს მიმდინარე წლის გაზაფხულზე ცეკავშირის გუნდის გამარჯვებით დასრულდა.

თამაშს იწყებს ცეკავშირის გუნდი, რომელიც სწრაფ ტემპს ანვითარებს და ლამაზი კომბინაციებით ხშირად უახლოვდება „დინამოს“ კარებს, მიუხედავად იმისა, რომ ათი კაცის შემადგენლობით თამაშობს თერთმეტის წინააღმდეგ. მე-18 წუთზე ცეკავშირის მარცხენა გარე-მარბი ცენტრიდან მიიღებს ბურთს, გაიგდებს მას „დინამოს“ მცველის წინ და ძლიერი დარტყმით მარჯვენა კუთხეში პირველი ბურთი ათავსებს დინამოელთა ბადეში.

„დინამოს“ მოთამაშეები იკრეფენ ძალღონეს და თანდათან ასწორებენ თამაშის ხაზს. ტაიმის ბოლოს თამაში მეტწილად ცეკავშირის კარებთან წარმოებს. დინამოელთა ერთერთი შეტევის დროს ცეკავშირი დაჯარიმდა და 11 მეტრიდან დარტყმულმა ბურთმა გააქვითა ანგარიში.

მეორე ტაიმში თამაში კიდევ უფრო გაცხოველდა და საინტერესო სახე მიიღო. გუნდები ენერგიულად იბრძვიან გოლისთვის, მაგრამ ბურთის გატანას ვერცერთი ვერ ახერხებს. ამ დროს წამოვიდა ძლიერი წვიმა და მსაჯი იძულებული შეიქნა თამაში შეეწყვიტა.

ტფილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის გასტროლები ფოთში

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

5 ივლისს საგასტროლოდ ჩამოვიდა ტფილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის მთელი კოლექტივი დამსახურებულ არტისტ **ალ თაყაიშვილის** ხელმძღვანელობით.

დადგმული იქნება **ს. მთვარაძის** „სურამის ციხე“, **ს. ჭელიძის** „გამომგონებლები“ და **ნ. შესტაკოვის**— „შორეული გზით.

თეატრის ჩამოსვლას დიდი ინტერესით შეხვდა ადგილობრივი მშრომელი მოსახლეობა. მოზარდ მაყურებელთა თეატრი ფოთში დარჩება რამოდენიმე დღეს და დახმარებას გაუწევს ფოთის რაიონულ ორგანიზაციებს. მოზარდ მაყურებელთა თეატრის ჩამოყალიბებაში.

არიფ ხარაზი.

დამკვრელ კოლმეურნეებს საგზურები კურორტებზე

საქართველოს სახკომსაბჭომ წინადადება მისცა კურორტთა მთავარ სამმართველოს და საქ. პროფსაბჭოსთან არსებულ დასასვ. სახლებისა და სანატორიუმების სამმართველოს გამოყონ ადგილები დასასვენებელ სახლებსა და სანატორიუმებში დამკვრელი კოლმეურნეებისათვის.

დას. სახლების და სანატორიუმების სამმართველომ უნდა გამოყოს 10 ადგილი წაღვერის დასასვენებელ სახლში და 5 ადგილი წყალტუბოს დასასვენებელ სახლში, კურორტთა მთ. სამმართველომ უნდა გამოყოს 10 ადგილი ბორჯომის სანატორიუმში და 5 ადგილი წყალტუბოში. სულ მიმდინარე წლის განმავლობაში საქართველოს კურორტებზე დამკვრელი კოლმეურნეებისათვის გამოყოფილი იქნება 30 ადგილი.

მსუბუქი მრეწველობის სახ. კომისარიატს დავალებული აქვს დასახელებულ კურორტებზე დასასვენებლად გაგზავნილი კოლმეურნეებისათვის გამოყოს თეთრეული და საგარაკო ტანსაცმელები.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს და კურორტთა მთავარ სამმართველოს დავალებული აქვთ შეისწავლონ საკითხი რესპუბლიკის ერთერთ კურორტზე. კოლმეურნეებისათვის ცალკე დასასვენებელი სახლის აგების შესახებ და მომავალი წლის ბიუჯეტით, გაითვალისწინონ აღნიშნული სახლის ასაგებად საჭირო თანხა.

ტფილისში ცხოვრობს 6.000-მდე ქურთი, რომლებიც კულტურულად ჩამორჩენილი არიან. წ.-კ. უცოდინარობის ყველაზე მეტ პროცენტს ტფილისში მოსახლე ქურთები იძლევიან. ტფილისის საბჭოს განათლების განყოფილებამ გადაწყვიტა ფართოდ გაშალოს კულტურული მუშაობა ქურთებს შორის. ამ მიზნით, პროფესიული კავშირების დახმარებით, სახლის მუშათა (მეეზოვეების), პროფკავშირის ხაზით ჩამოყალიბებულია წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო ჯგუფები, რომლებზედაც მიმაგრებული არიან ქურთი — კომკავშირული მასწავლებლები.

სახლის მუშათა კლუბთან გახსნილია საღამოს სკოლა ქურთი დიასახლისებისათვის. სკოლაში ქურთის ქალები სწავლობენ წერა-კითხვას.

სურათზე: კომკავშირელი — მასწავლებელი წ.-კ. ასწავლის ქურთის-ქალს.

ოქტომბერი 7, 9. 11.	საუკ. ხმოვანი ფილმი „შემხვედრი“ რეჟის.—ემლერი და იუტკევიჩი.
დამკვრელი საზაფხ. 9, 11	ამერიკული ფილმი „ბელლა დონნა“ პოლლა ნეგრის მონაწილეობით
დამკვრელი საზამთ. 6-30, 8, 9-30, 11. ფოიეში ჯაზი	
ეთერი საზაფხ. 9, 11	ამერიკული კომედია „ქრიზანთემი“
ტემპი (საზაფხ.) 9, 11.	ამერიკ. სათავგ. ფილმი „კვალდაკვალ“
„26“-ის სახ. [illegible] 9, 11.	მხატვრული სურათი „სურამის ციხე“
რ. ლუქსემბურგის სახელობის სეანს. 7, 9, 11	ხმოვანი მოლაპარაკე ფილმი „დეზერტირი“ რეჟ.—პუდოვკინი.
„კომინტერნი“ საზაფ. (დიდუბე) 9. 11	მხატვრული ფილმი „ისმეთი“

რუსთაველის თეატრი
სახალხო არტისტის სანდრო ახმეტელის
ხელმძღვანელობით 1934/35 წ. სეზონი.

დაიწყო სეზონის მუდმივი ადგილების და
აბონემენტების გაყიდვა
სალარო ღიაა 6—9 საათამდე.

წარმოება-დაწესებულებებში რწმუნებულთა საშვალებით. ნ. 305

ა. წ. 10 ივლისს, საღამოს სრულ 7 საათზე ვორონცოვის სახ. კლუბში მოწვეულია ორჯონიკიძის სახ. რაისაბჭოს

მე-9 გაფართოებული პლენუმი

დღის წესრიგი:

1. რაიონის გამწვანებისა და ტყის გაშენების შესახებ (მომხსენებელი რუხაძე).
2. რაიონის სანიტარული მდგომარეობის შესახებ (ამხ. ჩხიკვაძე).

დასწრება წარმოების სამკუთხედის, ქაქტების თავ-რეების და სახლების სამეულების დაუგვიანებლივ სავალდებულოა.

ნ. 316 რაისაბჭოს პრეზიდიუმი.

დაიკარგა ტრამვაის გაერთიანებულ ადგილკომის რგვალი ბეჭედი ჩაითვალოს გაუქმებულად

ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმის ა. წ. 22 მაისის

დადგენილების

თანახმად საარჩევნო ხმის უფლება მოკლებულთა საქმეები და სიები გადაცემული აქვთ სათანადო რაისაბჭოებს.

მოქალაქეებმა, რომლებიც დაინტერესებული არიან საარჩევნო ხმის უფლების საკითხით, უნდა მიმართონ იმ რაიონის, სადაც ისინი სცხოვრობენ.

საბჭოს პ/მგ. მდივანი და [illegible] განყ. გამგე ნ. კუცია.

ნ. 317

უმაღლესში, ტეხნიკ. და მუშფაკ. 6, 7, 8 კლ. შესასვლელად
ვამზადებ
მათემატიკასა და რუსულში და
ვასწავლი უცოდინარებს
არითმეტიკას და ბუხჰალტერიას
მოანგარიშის თანამდებობისათვის
პლეხანოვის ქ. 25 (შესავალი ჩერნიშევსკის ქ. 5. ნახვა 8—12 ს., 4—8 ს.
4106 4—1

ბაღი „არტო“ 8 ივლისს და ყოველ დღე მიუზიკ-ჰოლი დასაწ. საღამოს 9 ს. და 30 წ.	საზაფხ. თეატრი „არტო“ 8 ივლისს ცნობილი ბანი პლატონ ცესევიჩი	ბაღი „სტელა“ 9 ივლისს სახოპერეტის გახსნა „მარიცა“ ნ. 319

დღეს და ყოველდღე კინო-თეატრებში

ოქტომბერი (7, 9, 11) საუკეთესო ხმოვანი ფილმი „შემხვედრი“ რეჟისორები: ერმლერი და იუტკევიჩი.	ტემპი (საზაფხ.) ამერიკული სათავგადასავლო ფილმი „კვალდაკვალ“ სიმებიანი ორკესტრი მოჟარევსკის ხელმძღვანელობით.

ქ. ტფილისის სტალინის რაიონის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი, რაი-საბჭოს საქმეებზე **გ. ჩიგოგიძე** ამით აცხადებს, რომ 1934 წ. 11 ივლისს დღის 2 საათზე ქ. ტფილისში ვახუშტის ქუჩაზე სახლი № 57-ში

საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის

„სოცკულტურა“-ს ქონებას: 1) ერთ ცალ სახერხ დაზგას, 2) ერთთ ელექტრო მატორს 20 ძალიანს, 3) 1000 ც. ფანჯრის გამზადებულ ჩარჩოებს, 4) 200 ც. სათბურის ჩარჩოებს და 5) 125 კუბ. მეტრ. გამზადებულ ყუთის მასალას. ქონება ესე შეფასებულია 12.050 მან. და გაიყიდება მკერავ-ტრესტის სალიკვიდაციო კომისიის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, თანახმად არბიტრაჟის 1934 წ. 11/15 მაისის № 2/599 გაცემული ბრძანებისა.

4102 სასამართლოს აღმასრულებელი—გ. ჩიგოგიძე.

ექიმი
ბერიშვილი
ვენერიული საზარდესქესო სიფილისი და კანისა. დილ. 9—12 ს. საღ. 6—8 ს. ქალები-თვის ცალკე შესავალი პლეხანოვის შესახვევი № 8 სასტუმრო „ევროპას“ (ყ. ფ. „ნოე“) გადასწვრივ.
7—3 3565

ტფილისის ქალაქის ტელეფონის ქსელის

ძველი სადგურის ახალ ავტომატიურ ტელეფონის სადგურზე გადათიშვის გამო, ყოველივე სამუშაოები ტელეფონების დადგმა-გადადგმაზე სავსებით შეწყვეტილია.

ვთხოვთ ყველა ორგანიზაციებს, წარმოებებს და აგრეთვე ინდივიდუალურ აბონენტებს თავი შეიკავონ ზემოდნაჩვენებ სამუშაოების შეკვეთისაგან.

აბონენტები, რომელნიც მდებარეობენ სოლოლაკში, პუშკინის და მათთან მდებარე ქუჩებში, მათი ავტომატიურ ტელეფ. სადგურში გადათიშვის გამო, რამდენიმე დღეს მოკლებული იქნებიან წესიერ ტელეფონის კავშირს.

ნ. 312 დირექცია.

ექიმი
ი. ქეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის დაავად. იღებს დილ. 8—9 საათ. და საღ. $6^1/_2$ ს.—$8^1/_2$ ს. მი. სამართი: კამოს ქ. № 72 (ალექსანდროვის საავად. პირდაპირ).
4—1 2892

ა. წ. 9 ივლისს, საღამოს სრულ 7 საათზე ტრამვაის საზაფხულო კლუბში პლეხანოვის პროსპექტი № 181 მოწვეულია სტალინის სახ. რაისაბჭოს გაფართოებული პლენუმი წარმოება-დაწესებულებების სამკუთხედებთან, საბინაო ამხანაგობის გამგეობებთან, კომსახლთა სამეულებთან და სტალინის რაიონში მცხოვრებ ტფილისის და რაისაბჭოების წევრებთან ერთად.

დღის წესრიგი.

1. რაიონის გამწვანების და აწვანე ნარგაობათა მოვლა-პატრონობის მორიგი ამოცანები (მოხ. ამხ. ხოჯაშვილი).
2. საორგა იზაციო საკითხები.

პლენუმზე საბჭოს წევრების საბჭოთა აქტივის წარმოებ.-დაწესებულებების სამკუთხედის, საბინაო ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარეების და კომსახლთა სამეულების დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

2—1 ნ. 3 4 პრეზიდიუმი.

იკითხეთ
გაზეთი
კოლექტივიზაცია

სახელმძღვანელო
მასიათის წერილები,
დეპეშები, პატარა ფელეტონი,
მხიარული წარწერები,
• • • ქრონიკა, • • •
კონსულტაცია საკოლმეურნეო
• • საკითხებზე • •
და სხვა

გამოდის ყოველ დილის 7 საათიდან

...ივლიტა, მაქსიმე, მამისსა, დათო ბერძენიშვილები გულითადი მწუხარებით იუწყებიან საყვარელი დედის, დაუვიწყარ ბებიის

ანა იესე დოდაშვილის ასულის დარჩიას

გარდაცვალებას. გამოსვენება მაჩაბლის საავადმყ. პროზექტურიდან დღეს 5 ს. ვერის სასაფლაოზე 4109

მარიამ ჯორჯაძე, ნატაშა დარჩია და პავლე ჯორჯაძე გულითადი მწუხარებით, იუწყებიან საყვარელი დედის და ნამდვილი ბებიის

ანა იესე დოდაშვილის-ასულის დარჩიას

გარდაცვალებას. 4109

დამწუხრებული მეუღლე დიომიდე, შვილები: ვანო, ალექსანდრე, თამრიკო დედამთილი პელაგია, მამამთილი ივანე მამალაძეები ოჯახით იუწყებიან საყვარელ

ოლღა ალექსანდრე-ასულ მამალაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ფოთში 10 ივლისს ფრუნზეს ქ. № 48 4089

დამწუხრებული დეიდები: ნინა, იულია, ქმრით სამათი ქაჯაიები, დეიდაშვილები: მარო ქმრით ვარლამი პატარა ლეილათი ნადარეიშვილები, ნუცა, ლუტა ქაჯაიები ცხარე ცრემლით დასტირით ძვირფას

იოროდიონ ებრალაძის

დაკარგვას. 4091

გულმოკლული მშობლები: ვალიდა, ვოლოდია ბასილაიები იუწყებიან ერთადერთი ნუგეშის პატარა

მაიას (მაიკას)

გარდაცვალებას. დაკრძალვა 8 ივლისს ქუთაისში. გამოსვენება ინტერნაც. № 46 4092

ქუთაისის სამანქანო - სატრაქტორო სადგურის და პოლიტ-სამმართველოს მუშა-მოსამსახურეები მწუხარებას გამოსთქვამენ სამანქანო - სატრაქტ. სადგურის დირექტორის ამხ. ბასილაიას ერთადერთი საყვარელი შვილის, პატარა

მაიას (მაიკას)

გარდაცვალების გამო. 4092

დამწუხრებულნი: მეუღლე ზაბილინე, შვილები: კოლია და გრიშა ცოლშვილებით და სიძე იასონი ჟორდანია იუწყებიან, რომ დაუვიწყარ

ირაკლი ფილიპეს-ძე თოფურიძის

სამოქ. პანაშვიდი დანიშნულია 10 ივლისს 12 ს. სოფ. აბაშაში 4093

„ავტოტრანსპორტის“-ს გამგეობა და თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე გამგეობის წევრის ამხ. არისტარხო წილოსანის სიდედრის

თეო. ცინცაძის

გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 8 ივლისს კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება არამიანცის საავადმყოფოდან 4095

გულმოკლული შვილი მარგუშა სიძე არისტარხო წილოსანი უსაზღვრო მწუხარებას გამოსთქვამენ საყვარელი დედის და სიდედრის

თეო. ცინცაძის

გარდაცვალების გამო. დასაფლავება კუკიის სასაფლაოზე 8 ივლისს 5 ს. გამოსვენება ქალაქის პირველ საავადმყოფოდან 4095

ექიმი ბ. დილბანჯი
სპეც. შარდ. სასქესო, ვენერიული და კანის სნეულებანი, და სქესობრივი უძლურების მკურნალობა.
მიღ. დილით 9—10 ს. საღ. 6—8 ს საათამდე თეატრალური შეს. № 13 ტფ. სახ ოპერის თეატრის კვერდით.

ექიმი
პ. ფ. ოთხმეზური
ქირურგიული სნეულებანი
იღებს საღ. 5—7 საათამდე.
სამართი—გრიბოედოვის ქ. № 19

გაუბედურებული მეუღლე მასიკო შვილები: გრიშა, მარგუშა, ნადია, მარგარიტა, თამარა, რძლები ანიჩკა, ოლია, სიძეები: ა. წილოსანი, ს. იმნაიშვილი იუწყებიან

თეო. ცინცაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს 5 ს. არამიანცის საავადმყოფოდან კუკიის სასაფლაოზე 4090

გაუბედურებული ცოლი თამარი, შვილი ნოდარი, დედა ცუცუ ძმები: კოლია, გრიშა, მწუხარებით იუწყებიან

იორდანე ებრალიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა 6 ივლისს ლანჩხუთში 395

სახბანკის ლანჩხუთის განყოფილების თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე დაწესებულების მთავარ ბუხჰალტრის

იორდანე იაგორის-ძე ებრალიძის

გარდაცვალების გამო. დაკრძალვა მოხდა 6 ივლისს ლანჩხუთში. 395

გულდამწვარი და აგრეთვე სიძე ალექსანდრე დოლიშვილი ლუტუტი, გუგული, ცუცუნა ლეჟავეები იუწყებიან, რომ 8 ივლისს ლანჩხუთში დანიშნულია დაუვიწყარ

სერაპიონ პავლეს-ძე ბალავაძის

სამოქ. პანაშვიდი 395

ქუთაისის საზკვების ტრესტის დირექცია და თანამშრომლები ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ამხ.

ალიოშა ლოლობერიძის

უდროო გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი ყოველდღე 7 ს. ქ. ქუთაისში სარაჯიშვილის ქ. № 41 4098

გაუბედურებული მშობლები: საშა ეფრემის-ასული და ილია დიმიტრის-ძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან ერთადერთი ნუგეშის ინჟინერ

ბორის კაკაბაძის

უდროოდ დაკარგვას. სამოქ. პანაშვიდი დღეს 7 ს. [illegible] ქ. № 3 (ყ. კრასნოგორსკის). 4190

დეიდა ნინა ეფრემის-ასული და ბიძა კონსტანტინე ათანასის-ძე კაკაბაძეები შვილებით: ექ. ლენა გიორგი, ვახტანგით ღრმა მწუხარებით იუწყებიან დაუვიწყარ

ინჟინერ ბორის კაკაბაძის

უდროოდ დაღუპვას 4101

გულდამწვარი დედა სადიკო, ძმები: ვალოდია, მიშა ცხადაძეები ცოლშვილით იუწყებიან, რომ 14 ივლისს ქ. ზესტაფონში დანიშნულია დამსახურებულ ექიმ ვეტერინარის

გრიგოლ ალექსის-ძე ცხადაძის

სამოქ. პანაშვიდი 4103

მოულოდნელი შემთხვევით თავზარდაცემული ბიძაშვილები: ლორთქიფანიძე ილია ცოლით ელენათი და შვილით ჟორჟათი, გვენცაძე ცუცა ქმრით ვასილით, შვილებით: ბუჭუ, დუდათი იუწყებიან ძვირფას, ინჟენერ

ბორის კაკაბაძის

უდროოდ დაღუპვას. 4096

თავზარდაცემული ექიმი დათიკო კობეშავიძე მწუხარებით იუწყება, მისი საყვარელი მეუღლის, სამედიცინო ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტ

ბუდუ პაპავა — კობეშავიძის

უდროოდ გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი დღეს 7 ს. მიხეილის საავადმყოფოში. დაკრძალვა გამოცხადდება. 4095

დამწუხრებული ამხანაგები: დავით კოდუა, გიორგი, ქსენია შენგელიები, ილია გოგინავა, იუწყებიან სამხარეო ინსპექტორის

ზაქუ ახლანის-ძე ხუნჯუას

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა 2 ივლისს. ს. ჩაქვინჯში 395

დამწუხრებული მეუღლე ელისაბედი, შვილები ნოე, ბაბო, რძალი ნადია, შვილიშვილები: კოკა ცოლით უენია, ვერა იურანდით თამარა ქმრით ჟორა უწყებიან უძვირფასეს

ზევასტი კორონშინაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 8 ივლისს ს. საყვავისტყეში 4107

შვილები: იოსები, ივანე, კოტე, პეტრე, ევგენია, თამარა ოჯახებით იუწყებიან რომ 4 ივლისს მოულოდნელად გარდაიცვალა

ბესარიონ იოსების-ძე ქართველიშვილი

სამოქ. პანაშვიდი დღეს 4 ს. მიხეილის საავადმყოფოში გამოსვენება იქიდანვე 5 ს. კუკიის სასაფლაოზე 4107

ექიმი ალექსი (მიმიკო) მინდაძე მწუხარებით იუწყება რომ მისმა გულითადმა მეგობარმა ექიმ დათიკო კობეშავიძემ მოულოდნელად დაკარგა სიცოცხლის ძვირფასი ამხანაგი

ევგენია პაპავა — კობეშავიძისა

313

ჭიათურის წითელ პარტიზანთა საბჭო იუწყება რომ ქ. ჭიათურაში 12 ივლისს დღის 3 საათზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ძველი მებრძოლ პარტიზანის

ამხ. ალექსანდრე საჩინოს-ძე ვაშაძის.

ხსოვნის აღსანიშნავად. 4099

ამხანაგების ჯგუფი: მ. ფირცხელავა, მ. დავითაია პ. მასხულიავა, ს. ჩილოკავა, ქ. ცაავა, ბ. ხარბედია, გ. აბრამია ა. შონია ი. აბრამია შ. შენგელია, ფოფხაძე, ფირცხვანიძე, ვალოდია ილია, საშა, ვალოდია სიჭინავეები მ. შონია იუწყებიან ტ. აბრამიას შვილის

ჟორჟიკას

გარდაცვალებას. 396

თვალცრემლიანი და პატკუ, სიძე ვალერიანე, დისშვილი თემიკო ოდილავაძეები იუწყებიან, რომ ლანჩხუთში 8 ივლისს 1 ს. დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი დაუვიწყარ, დამსახურებულ მასწავლებლის

სერაპიონ პავლეს-ძე ბალავაძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 395

დამწუხრებულნი: დედა სალომე, მეუღლე მარიამი, შვილები: არნოლდი, ლეო, ძმა მექი ცოლშვილით იუწყებიან, რომ ლანჩხუთში — 8 ივლისს 1 ს. დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი

სერაპიონ პავლეს-ძე ბალავაძის

ხსოვნის აღსანიშნავად 395

[illegible] გოგიაშვილი, გ. შავლაყაძე, დ. ნემსაძე [illegible] მელაშვილი, დ. ბიბილეიშვილი, ს. წერეთელი, ვ. დარჩია ბ. მატარაძე, ს. ქაცარავა, ს. კაკაბაძე, ს. ჯინჭარაძე, ა. შენგელაძე გამოსთქვამენ ღრმა მწუხარებას საუკეთესო ადამიანის

ალიოშა ლოლობერიძის

დაკარგვის გამო 4097

სტამბა „კომუნისტი“ კამოს ქ. № 68

ა 202